პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 223 (12431) | პარასკევი, 21 სექტემბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.



# შენთვის, ჩემო ქვეყანავ!

## ღირსეული შეხვედრა დიდი ოქტომბრის 45 წლისთავს

### აჭარის მეჩაიეთა წარმატება

ბათუმი, 20 სექტემბერი. (საქდესი). [illegible] 1.500 [illegible] 28.694 [illegible] 2.930 [illegible]

[illegible]

## გამარჯვებული

[illegible] საქართველოს მანქანათსაშენებლო ქარხნებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და დღემდე მტკიცედ უპყრია საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოსა და საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ქარხნის კოლექტივს დღეისათვის კარგი შრომითი მაჩვენებლები აქვს. რვა თვის გეგმა 105,1 პროცენტით შეასრულა და შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 7,3 პროცენტით გაზარდა.

ქარხნის კოლექტივის ნაყოფიერ შრომაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რვა თვის განმავლობაში აქ 32 რაციონალიზატორული წინადადება დაინერგა. ამის შედეგად ქარხანამ მიიღო 8.900 მანეთი პირობითი ეკონომია, განვლილ პერიოდში დაზოგა 2 ტონა ფერადი ლითონი და 3,5 ტონამდე შავი ლითონი.

აი ქარხნის საამაყო რაციონალიზატორებიც: ინჟინერ-ტექნოლოგი ს. კობერიძე. მისი წინადადების საფუძველზე მცირე კონსტრუქციული ცვლილებების შედეგად ტუმბო „ნ-21"-ზე დაზოგილია 1.300 კილოგრამი ფერადი ლითონი და საერთო პირობითი ეკონომია 1.026 მანეთს შეადგენს.

არანაკლებ ნაყოფიერი აღმოჩნდა ზეინკალ შ. აბრამიშვილის რაციონალიზატორული წინადადება. მან სახარატო ხრახნსაჭრელ ჩარხზე დააყენა სამარჯვი, რომელმაც საგრძნობლად დააჩქარა შიდა დამუშავების პროცესი და ამის შედეგად მიღებულმა ეკონომიამ 600 მანეთს გადააჭარბა.

საყურადღებოა აგრეთვე მოდელიორ მ. ხაპროვის რაციონალიზატორული წინადადება. მან გააუმჯობესა საჩამომსხმელო დეტალების დეფორმირების პროცესი და ქარხანას მისცა 450 მანეთი ეკონომია.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებლო ქარხანაში მრავალი ტექნიკური სიახლე დაინერგა. მათ შორის აღსანიშნავია ყალიბის საკეთებელი მანქანა, რომელმაც საგრძნობლად გაზარდა ყალიბების გამოშვება და შეამსუბუქა ხელით შრომა. ქარხანაში დაიდგა აგრეთვე ლითონსაჭრელი ჩარხები და სხვა ახალი მანქანები.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებლო ქარხნის კოლექტივმა კიდევ უფრო გააძლიერა შრომის ტემპი, რათა ახალი შრომითი საჩუქრები მოუმზადოს დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავს.

**რ. ბასილაშვილი.**

## ფეიქართა წვლილი

[illegible] 103,9 [illegible] 87 [illegible]

## ჩქაროსნული მშენებლობა

ტყიბული, 20 სექტემბერი. (საქდესი). ქვანახშირის ახალი უდიდესი საბადოს—შაორის აუზის პირველი შახტის გაშვების ვადაა შვიდწლედის მეექვსე წელი. მშენებლები ჩაებნენ დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრეს იგი ექსპლოატაციაში გადასცენ ვადამდე რვა თვით ადრე. ეს შახტი ორჯერ მეტ სათბობს მისცემს, ვიდრე საქართველოს ქვანახშირის ყველაზე მსხვილი რაიონის — ტყიბულის ყველა შახტი.

დიდი აღმავლობით შრომობენ ამ დღეებში მშენებლები. დადგენილ დროზე ოთხი თვით ადრე დასრულებულია ამ წლისთვის გათვალისწინებული ყველა სამთო სამუშაო. გაყვანილია დაახლოებით რვა ათასი მეტრი შტრეკი, ქანობი, და სხვა გვირაბები, მომზადებულია ამოსაღებად ქვანახშირის ორი ლავა. მშენებლობის კოლექტივმა სამთო სამუშაოები მოაწყო ახლებურად მუდმივი ნაგებობებისა და სტაციონარული მოწყობილობის გამოყენებით.



შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას უჩვენებენ „ახალციხქვანახშირის" სამმართველოს მემაღაროელები ლ. ჯვარიძე, ა. ფცქიალაძე და ა. ჯვარიძე, რომლებიც წინასაოქტომბრო შრომით ვახტზე დგანან და ცვლის ყოველდღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ. მათ იკისრეს წლიური დავალება გაანაღდონ 15 დეკემბრისათვის.

• • •

სურათზე: „ახალციხქვანახშირის" სამმართველოს მოწინავე მემაღაროელები (მარცხნიდან მარჯვნივ) ლ. ჯვარიძე, ა. ფცქიალაძე და ა. ჯვარიძე.

ფოტო ლ. ბაბაიანისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ცნობები

## საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მუშაკთა აქტივის თათბირი

20 სექტემბერს თბილისში, ძერჟინსკის სახელობის კლუბში, გაიმართა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მუშაკთა აქტივის თათბირი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, პროკურატურისა და სასამართლოს წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც მიეძღვნა მილიციის საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვ. მ. სირაძე, ა. ნ. ინაური, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე მ. გ. ვეფხვაძე, საქართველოს სსრ პროკურორი პ. ე. ბერძენიშვილი.

მოხსენება „მილიციის საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებანი" გააკეთა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა ო. ა. ქავთარაძემ.

კამათში მონაწილეობდნენ აჭარის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი კ. ე. კეთილაძე, რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საპატიმრო ადგილების სამმართველოს უფროსი ხ. ა. ლეჟავა, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე შ. ნ. რობაქიძე, რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი გ. ა. მეგრელიშვილი, ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსი ა. ხ. ოსეფაიშვილი, აფხაზეთის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი პ. გ. არშბა, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს პარტიული კომიტეტის მდივანი პ. გ. გელაშვილი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსი ზ. გ. ცხოვრებოვი, გორის მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსი ვ. ი. გიგაური.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ყველა მუშაკისადმი.

დაწვრილებითი ანგარიში თათბირის მუშაობის შესახებ გამოქვეყნდება. (საქდესი).

## არჩევნები ალჟირში

ალჟირი, 20 სექტემბერი. (საქდესი). დღეს ალჟირში დაიწყო ეროვნული დამფუძნებელი კრების არჩევნები. ყასბში (ქალაქ ალჟირის ძველ ნაწილში) უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი საარჩევნო პუნქტებთან გაღებამდე დიდი ხნით ადრე. კენჭისყრა დაიწყო დილის 8 საათზე და დამთავრდება საღამოს 6 საათზე.

## ქართული ხელოვნების დეკადა პოლონეთში

ვარშავა, 20 სექტემბერი. (საქდესი). რეპროდუქტორებში ჟღერს ქართული ხალხური მუსიკის მელოდიები. ლირიკულ სიმღერას ცვლის სახუმარო სიმღერა-შაირი ან ცეცხლოვანი ცეკვის მელოდია. პოლონეთის რადიო აწყობს ქართული კულტურის დეკადას.

პოლონეთის რადიო აცნობს პოლონელ მშრომელებს საბჭოთა საქართველოს მდიდარ და ორიგინალურ კულტურას, ქართველი მწერლების, პოეტების, კომპოზიტორების ნაწარმოებებს, ქართული მუსიკოსების საშემსრულებლო ოსტატობას. საკონცერტო პროგრამაში, რომელსაც რადიო გადასცემს, არის როგორც თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები,— ისე ძველი ხალხური მუსიკა.

დეკადა გაგრძელდება 17-დან 26 სექტემბრამდე.

## რეპრესიები პორტუგალიაში

პარიზი, 20 სექტემბერი. (საქდესი). სალაზარის საიდუმლო პოლიციამ აგვისტოში დააპატიმრა 16 პატრიოტი. დაპატიმრებულთა შორის არის პორტუგალიის კომუნისტური პარტიის რამდენიმე წევრი — მუშა, ექიმი, ოთხი სტუდენტი, სამი მოსამსახურე...

ეს დაპატიმრებანი ცნობილი გახდა პორტუგალიის პრესის ცნობებიდან. მაგრამ, წერს დღეს გაზეთი „ლუმანიტე", სინამდვილეში დაპატიმრებულთა რიცხვი გაცილებით მეტია. მარტო კოიმბრეში ფარულად დაპატიმრებულია 31 კაცი.

საიდუმლო პოლიციის ახალ რეპრესიებთან დაკავშირებით პორტუგალიელ პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიის კონფერენციის საერთაშორისო სამდივნომ მოუწოდა საფრანგეთის საზოგადოებრიობას მხარი დაუჭიროს ამნისტიის კამპანიას პორტუგალიაში.

## ახალი კონსტიტუციის მომზადება იუგოსლავიაში

ბელგრადი, 20 სექტემბერი. (საქდესი). დღეს აქ გაიხსნა საკავშირო სახალხო სკუპშჩინისა და იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის საკავშირო კომიტეტის გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე განიხილავენ იუგოსლავიის ახალი კონსტიტუციის პროექტს. პროექტი დაასაბუთა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ედვარდ კარდელმა.

## „ოპერაციის" ობიექტია... ბავშვები

ბერლინი, 20 სექტემბერი. (საქდესი). არ წყდება პროვოკაციები, რასაც დასავლეთ ბერლინიდან აწყობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის საზღვარზე. როგორც ცნობებიდან ჩანს, რომლებიც დღეს გამოქვეყნდა პრესაში, დასავლეთბერლინელმა პოლიციელებმა მოიტაცეს და დასავლეთ ბერლინში წაიყვანეს სამი ბავშვი, რომლებიც საზღვრის ახლოს თამაშობდნენ. ამ დანაშაულებრივი „ოპერაციის" განხორციელების დროს პოლიციელებმა გამოიყენეს მიწისქვეშა გვირაბი, რომლითაც გადალახეს საზღვარი დემოკრატიული ბერლინის მიტეს რაიონში.

# მორალური კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპები

ქალატოზი, რომელიც სახლს აშენებს, აგურ-აგურ აგებს მას. ახლა მემონტაჟე თანდათან ამონტაჟებს კედლებს, გადადის სართულიდან სართულში და ამთავრებს მშენებლობას. ასევე კომუნიზმის მშენებლობაც, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — მოითხოვს ყოველდღიურ კონკრეტულ შრომას და კიდევ და კიდევ შრომას!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ თავის პროგრამაში ჩამოაყალიბა კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი. ამ კოდექსში განსახიერებულია ზნეობრივი პრინციპები, რომლებიც ხალხის მასებმა შეიმუშავეს საუკუნეების მანძილზე, განსახიერებულია მსოფლიოს კომუნისტური გარდაქმნით წარმოშობილი ეთიკური ნორმები.

დღეს „პრავდა" აქვეყნებს მასალებს, რომლებიც მიძღვნილია კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპისადმი — კეთილსინდისიერი შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ: „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს".

ეს პრინციპი, რომელსაც ვ. ი. ლენინმა „სოციალიზმის პრაქტიკული მცნება" უწოდა, გამომდინარეობს ჩვენი წყობილების თვით ბუნებიდან, კომუნისტური მშენებლობის ამოცანებიდან და მეთოდებიდან.

ყველა უწინდელი რევოლუციისაგან განსხვავებით ჩვენმა სოციალისტურმა რევოლუციამ პირველ პლანზე წამოაყენა შემოქმედებითი ამოცანა — კომუნისტური საზოგადოების აშენება. ეს კი ნიშნავს: მილიონთა შრომით მთავრდება და სამუდამოდ მტკიცდება რევოლუციით დაწყებული ბრძოლა ადამიანის განთავისუფლებისათვის. „...ძველი, ეკონომიურად ღატაკი და პოლიტიკურად უგუნური საზოგადოების საპირისპიროდ, — ამბობდა მარქსი, — წარმოიშობა ახალი საზოგადოება, რომლის საერთაშორისო პრინციპი იქნება — მშვიდობა, რადგან თვითეულ ხალხს ეყოლება ერთი და იგივე მბრძანებელი — შრომა!"

დიდია კომუნისტური შრომის ძალა. ამას განსაკუთრებით მკაფიოდ ცხადყოფს სახელოვანი პატრიოტების — სოციალისტური შრომის გმირის ნ. გ. ზაგლადასა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ლენინგრადელი მუშის ი. დ. ლეონოვის მაგალითი. მათმა მხურვალე მოწოდებამ კეთილსინდისიერი შრომისათვის, მშრომელი ადამიანის სინდისისადმი მიმართვამ ცხოველი გამოხმაურება გამოიწვია ხალხში, მილიონობით ადამიანის კონკრეტულ და კარგ საქმეებად განსახიერდა.

კეთილსინდისიერება მუშაობაში, საქმისადმი პატიოსანი დამოკიდებულება, შეგნებული დისციპლინა საბჭოთა ადამიანების უმრავლესობის ცხოვრების ნორმა, მათი გმირული საქმეების საფუძველი გახდა. კეთილსინდისიერად შრომობს ის, ვინც მუშაობას ახმარს მთელ თავის ნიჭს, უნარიანად იყენებს ტექნიკას, განუწყვეტლივ ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ეძებს, პოულობს, ამოქმედებს ახალ და ახალ რეზერვებს.

ივანოვოს მქსოველები — კომკავშირელები ო. გ. რაგოზინა და ლ. ს. პუსტინიკოვა სრულყოფილად დაეუფლნენ სპეციალობას, შეისწავლეს ახალი ავტომატური მოწყობილობა და შემოქმედებითად გამოიყენეს სოციალისტური შრომის გმირის ი. მ. ვეჩეროვას გამოცდილება. ამის მეოხებით მათ მიაღწიეს საბჭოთა კავშირში უდიდეს შრომის ნაყოფიერებას ავტომატურ დაზგებზე, უშვებენ მხოლოდ და მხოლოდ პირველი სორტის პროდუქციას.

შრომის ასეთ ნაყოფიერებას რომ მიაღწიონ მარტო ივანოვოს ოლქის მქსოველებმა, რომლებიც დაზგა-ავტომატებზე მუშაობენ, ჩვენი ქვეყანა დამატებით მიიღებს 50 მილიონ მეტრზე მეტ ქსოვილებს წელიწადში. ვინც მთელ თავის ძალღონეს ახმარს ხალხს, — სწორედ ისინი არიან შრომის გმირები, ისინი არიან ღირსნი მაღალი საზოგადოებრივი აღიარებისა. მხარს უჭერს და ქებას ასხამს რა მათ, ხალხი ამავე დროს ამბობს: ჩვენი პური იმათთვის როდია, ვისაც სურს უშრომლად იცხოვროს!

„პრავდას" მოსდის ბევრი წერილი, რომლებშიც პატიოსანი მშრომელნი აღშფოთებით წერენ ზარმაცებსა და მუქთახორებზე, თაღლითებსა და წამგლეჯებზე. ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ ისინი სოციალიზმის დაუძინებელი მტრები არიან. მუქთახორა სხვის ხარჯზე ცხოვრობს. იგი ქურდია, რომელიც პარავს არა ცალკეულ პიროვნებას, არამედ მთელ ხალხს, საზოგადოებას. იგი ხომ ჭამს, სვამს, ჩაცმულ-დახურულია, თვითონ კი არაფერს ქმნის. მუქთახორა რყვნის მის გარშემო მყოფთ, წარმოშობს პარაზიტიზმის ფსიქოლოგიას, რომელიც სრულიად უცხო და მტრულია სოციალისტური წყობილებისათვის, ხოლო მისი დაუსჯელობა ზოგიერთს უქმნის მავნე ილუზიას, რომ შეუძლია ბედნიერად იცხოვროს უშრომლად.

**ПРАВДА**

20 სექტემბრის მოწინავე

✦

განა შეიძლება ლმობიერად მოვეპყროთ იმათ, ვინც ფეხქვეშ თელავს ჩვენი საზოგადოების ყველაზე წმიდა პრინციპებს? რა თქმა უნდა, არა! მაშ რატომ არის, რომ ზოგიერთ ოლქში ასეთი ადამიანები მშვიდად დასეირნობენ ქუჩებში და არ მუშაობენ? პერმის ოლქში, მაგალითად, სამუშაოზე მოაწყეს ბევრი ისეთი, ვინც წინათ თავს არიდებდა მუშაობას. მაგრამ საზოგადოებრივი ორგანიზაციები კონტროლს არ უწევდნენ მათ, და აი ბევრმა მათგანმა მიატოვა სამუშაო, კვლავ პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა.

მაგრამ მუქთახორაა არა მარტო ის, ვისაც საერთოდ არა სურს მუშაობა. მუქთახორაა ისიც, ვისაც სურს კარგად იცხოვროს, მაგრამ ცუდად შრომობს. ჩვენ ზოგჯერ ჯეროვან წინააღმდეგობას არ ვუწევთ წამგლეჯებსა და საქმოსნებს, რომლებმაც შეიძლება ნორმაც კი შეასრულონ, მაგრამ ცდილობენ მეტი ფული მიიღონ და ყურადღებას არ აქცევენ ხარისხს, იოლ შემოსავალს ეძებენ, თავს არიდებენ ძნელ სამუშაოს. ამ დღეებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება გაზეთ „იზვესტიის" სტატიის გამო „უნდა ვაპატიოთ თუ არა?". სტატიაში მოგვითხრობდნენ ფაქტებზე, როცა ერთი ადამიანის არაკეთილსინდისიერების გამო ქარწყლდება დიდი კოლექტივის შრომა, მატერიალურად ზარალდება მრავალი ადამიანი, ზარალდება სახელმწიფო. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ამ სტატიაში დასმულ საკითხებს დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის, იმ პირთა პასუხისმგებლობის გადიდებისათვის, რომლებმაც მატერიალური ზარალი მიაყენეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

საბჭოთა ადამიანებს არა სურთ დაიკავონ „გულკეთილი ძიას" პოზიცია, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ცოტათი დატუქსოს ლოთი, სამუშაოს გამცდენი, წუნის მკეთებელი. ამ უკანასკნელთ უნდა ეკისრებოდეთ მთელი — როგორც მორალური, ისე მატერიალური — პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის.

ვ. ი. ლენინი ამბობდა: „კაცობრიობის ისტორიაში ეს უდიდესი შეცვლა იძულებითი შრომისა თავისთვის შრომით შეუძლებელია მოხდეს ისე, რომ არ იყოს შეხლა-შემოხლა, შეუძლებელია ხიძნელეთა დაუძლეველად, უკონფლიქტოდ, ძალდაუტანებლად გაუსწორებელი მუქთახორებისა და მათი მაჩანჩალების მიმართ".

შრომის დისციპლინის განმტკიცება, მუშაობაში სიზუსტე და ორგანიზებულობა განსაკუთრებით საჭიროა ტექნიკური პროგრესის, წარმოების სწრაფი განვითარების პირობებში. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მანქანური ტიპის მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებია, მარცვლეულის, ხორცის, რძის წარმოების ნამდვილი ფაბრიკებია. თუ წინათ, როცა კოლმეურნეობებში მექანიზაცია დაბალ დონეზე იყო, სამუშაოს გაცდენა, სამუშაოზე დაგვიანება ერთ უბანზე ახდენდა გავლენას, ახლა ეს მტკივნეულ გავლენას ახდენს ერთიანი ტექნოლოგიური ციკლის ყველა რგოლზე.

პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები შეურიგებელ ბრძოლას უნდა ეწეოდნენ წუნის მკეთებელთა, სამუშაოს გამცდენთა, ლოთების წინააღმდეგ, უნდა ქმნიდნენ მათ წინააღმდეგ საზოგადოებრივ აზრს, მათდამი შეუწყნარებლობის ვითარებას. მუქთახორებთან ბრძოლა ყველა საბჭოთა ადამიანის საქმეა. თვითეულ მშრომელს უნდა ესმოდეს, რომ მუქთახორა და წუნის მკეთებელი, ზარმაცი და ლოთი ხელს აფათურებს სახელმწიფოს, საზოგადოების ჯიბეში. სოციალისტური შრომის გმირი პერმის ოლქის სასოფლო-სამეურნეო არტელის „ბოლშევიკის" კოლმეურნე ა. კრინიცინი „პრავდაში" წერს: „საიდუმლოება როდია, რომ ჩვენ, პატიოსანი, შრომისმოყვარე კოლმეურნეები, იშვიათად თუ ვეტყვით ჩვენს მეზობელს — ზარმაცს აშკარად, დაუფარავად, რომ იგი ზარმაცია. მერე რატომ? მას ხომ არ ერიდება ჩვენს ხარჯზე იცხოვროს როგორც მუქთახორამ?".

დიადი პრინციპი „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს" მრავალი საუკუნის წინათ წარმოიშვა მშრომელ ხალხში. მაგრამ მას ურცხვად თელავდნენ ფეხქვეშ ექსპლოატატორული კლასები. მხოლოდ სოციალიზმი ხდის მას ურღვევ წესად, ცხოვრების კანონად. ეს პრინციპი უკლებლივ ყველაზე ვრცელდება. სოციალიზმის დროს ყველა უნდა მუშაობდეს.

„მხოლოდ ჩვენ — მშრომელთ მთელი ქვეყნის,
გვეკუთვნის ვფლობდეთ სამყაროს.
მხოლოდ ჩვენ, შრომის დიად რაზმსა,
მუქთახორებს კი — არასდროს!" —

ნათქვამია ჩვენს პარტიულ ჰიმნში — „ინტერნაციონალში".

კეთილსინდისიერი შრომა საზოგადოების კეთილდღეობისათვის კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კეთილსინდისიერებისა და შრომისმოყვარეობისაგან, ამხანაგური დისციპლინისა და შრომითი თავდადებისაგან ვითარდება კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი, როგორც საარსებო მოთხოვნილებისადმი, უანგარო ზრუნვა მთელი ხალხის ინტერესებისათვის. ამ გზით მივაღწევთ ჩვენ კომუნისტური შრომის გამარჯვებას, კომუნიზმის მშენებლობის იმ დიადი პროგრამის განხორციელებას, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### მსახიობ ა. მ. ავეტისიანისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოს სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება ერევნის გ. სუნდუკიანის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს ავეტ მარკოსის-ძე ავეტისიანს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1962 წლის 20 სექტემბერი.

# ეს პატრიოტული საქმეა

## მევენახეთა მაგალითი

რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებში მთელი ძალით გაჩაღდა რთველი. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები წარმატებებს აღწევენ 190.000 ტონა ყურძნის მიღებისათვის ბრძოლაში. ამ დიდი და საპატიო საქმის დაგვირგვინებაში საკუთარი წვლილი შეაქვთ კოლმეურნეებსა და მუშა-მოსამსახურეებს. მათ საკარმიდამო ვენახებში ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს და გარკვეული ნაწილი ნებაყოფლობით მიჰყიდეს სახელმწიფოს. ამით თავიანთი საპატიო წვლილი შეიტანეს ყურძნის დამზადების რაიონის, სამმართველოს და რესპუბლიკის გეგმის შესრულებაში. ეს პატრიოტული თაოსნობა დღითიდღე უფრო ფართოდ ვრცელდება მევენახეებში.

აი ისინი, ვინც სახელმწიფოს დიდი რაოდენობით მიჰყიდა ყურძენი:

### გურჯაანის რაიონში

**გივი სიმონიშვილი** — სოფელ ვეჯინის კოლმეურნეობის წევრი. საკარმიდამო ვენახში უხვი მოსავალი მიიღო. აქედან 2.410 კილოგრამი სახელმწიფოს მიჰყიდა და 976 მანეთი მიიღო.

**ვანო სამადაშვილი** — ბაკურციხის კოლმეურნეობის წევრი. სახელმწიფოს 1.800 კილოგრამი ყურძენი მიჰყიდა და 714 მანეთი მიიღო.

**მერაბ ლირსიაშვილი** — კარდანახის ღვინის ქარხნის ვაგონის გამცილებელი. სახელმწიფოს 2.037 კილოგრამი ყურძენი მიჰყიდა და 789 მანეთი მიიღო.

### სიღნაღის რაიონში

**ოთარ ლირსიაშვილი** — სოფელ ანაგის კბილის ტექნიკოსი. სახელმწიფოს 2.590 კილოგრამი ყურძენი მიჰყიდა და 795 მანეთი მიიღო.

**გუგული მოლაშვილი** — სოფელ ჯუგაანის კოლმეურნეობის წევრი. სახელმწიფოს 2.308 კილოგრამი ყურძენი მიჰყიდა და 888 მანეთი მიიღო.

**სიმონ ლათიბაშვილი** — ტიბაანის კოლმეურნეობის წევრი. სახელმწიფოს 1.530 კილოგრამი მიჰყიდა და 586 მანეთი მიიღო.

**ვასო გურაშვილი** — წნორის კოლმეურნეობის წევრი. სახელმწიფოს 1.100 კილოგრამი მიჰყიდა და 423 მანეთი მიიღო.

# როგორ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები? ჩვენი მიმოხილვა

შემოდგომა სოფლად ყველაზე პასუხსაგები დროა. ახლა მიწის მუშაკებს დაძაბული დღეები აქვთ. ისინი თავიანთი შრომის ნაყოფს იმკიან, ემზადებიან ზამთრისათვის, საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სოფლის მშრომელებიც ახალ-ახალ შრომითს საჩუქრებს უძღვნიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45-ე წლისთავს.

**სიმინდის** მოსავლის აღება და დაბინავება ახლა ერთ-ერთი ძირითადი სამუშაოა. წელს რესპუბლიკაში „მინდვრის დედოფალს" 277.576 ჰექტარი ფართობი უჭირავს. 15 სექტემბრისათვის სიმინდი შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 4.562 ჰექტარით მეტ ფართობზეა აღებული. 13.034 ჰექტარი სიმინდი სამარცვლედ არის აღებული, ხოლო დანარჩენი — სასილოსედ ან მწვანე საკვებად.

ამ მცირე არითმეტიკული გაანგარიშებიდან ჩანს, რომ მესიმინდეებს წელს ცუდად არ უშრომიათ, საყვედური არ ეთქმით. სიმინდის აღების საქმეში თავი ისახელეს სიღნაღის, გურჯაანის, თეთრი წყაროს, თელავის, ბოლნისის საწარმოო სამმართველოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მესიმინდეებმა. სიმინდის მარცვლად აღების საქმეშიც ეს სამმართველოები მიდიან წინ.

**მიმდინარე** წლის ზაფხული არახელსაყრელი ბუნებრივი პირობებით ხასიათდებოდა და, ცხადია, ამან უარყოფითი გავლენა იქონია როგორც თავთავიანი მარცვლეული კულტურების, ისე ბალახის მოსავლიანობაზე. მაგრამ პირდაპირ უნდა ვუთხრათ ზოგიერთი საწარმოო სამმართველოს მუშაკებს, რომ ყოველი შესაძლებლობით არ იბრძოდნენ რეზერვების გამოსაყენებლად.

ისევ სასოფლო-სამეურნეო არითმეტიკა მოვიშველიოთ, ვიანგარიშოთ. წელს რესპუბლიკაში თავთავიანი მარცვლეული და პარკოსანი კულტურები 249.156 ჰექტარზეა ასაღები. 15 სექტემბრისათვის აღებული იყო 234.670 ჰექტარი, ანუ 94.2 პროცენტი. მომკილ ფართობებზე კი 205 ათას ტონაზე ცოტა მეტი ნამჯა არის შეგროვებული.

განა ეს მოსატევებელია? შესაძლებელი იყო თვითეულ ჰექტარზე დაგვეგროვებინა 1,5-2 ტონა ნამჯა. მაშინ რესპუბლიკაში ერთნახევარჯერ მეტი ნამჯა იქნებოდა დაგროვებული. რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ ზოგიერთი მეურნეობის ხელმძღვანელებმა უყაირათობა გამოიჩინეს და ნამჯა მინდვრად დატოვეს.

დუშეთის საწარმოო სამმართველოში თავთავიანი და პარკოსანი კულტურები აღებული იყო 9.603 ჰექტარზე. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 7,6 ცენტნერი მარცვალი. თუ ვიანგარიშებთ, რომ ასეთი მოსავლის დროს ნამჯის გამოსავლიანობა 1,5-2-ჯერ მეტი უნდა იყოს, მაშინ ამ ჰექტარზე 15-20 ცენტნერი ნამჯა უნდა დაეგროვებინათ. ფაქტიურად დაგროვებულია 7.253 ტონა ნამჯა. ჰექტარზე 10 ცენტნერიც კი ვერ დააგროვეს. ასევეა ახალციხის, ბოლნისისა და სხვა საწარმოო სამმართველოებში.

**კარტოფილითა** და ბოსტნეულით მშრომელთა უზრუნველყოფა სოფლის მშრომელთა საპატიო ვალია. კარტოფილის უხვი მოსავლის მიღების საქმეში საკმაო გამოცდილება აქვთ თეთრი წყაროს, ბოლნისის, ახალციხის საწარმოო სამმართველოებს. კარტოფილის ამოღების საქმეში დაწინაურდნენ თეთრი წყაროსა და ბოლნისის საწარმოო სამმართველოები. ახალციხის საწარმოო სამმართველო კი ჩამორჩება.

კარტოფილის ამოღება საერთოდ რესპუბლიკაში ნელი ტემპით მიმდინარეობს. 12.637 ჰექტარიდან კარტოფილი ამოღებულია 1.558 ჰექტარზე.

ბოსტნეულის დამზადების გეგმის შესრულებაც ფერხდება. ნაცვლად 93.000 ტონისა, დამზადებულია 31.676 ტონა ბოსტნეული. ამ საქმეში წინ მიდიან სიღნაღის, სამტრედიის, ზესტაფონის, წყალტუბოს და გუდაუთის საწარმოო სამმართველოები. ჩამორჩებიან თეთრი წყაროს, სოხუმის, ახალციხის, გორის და სხვა საწარმოო სამმართველოები.

**არც** თუ ისე დიდი ხანია, რაც კომბაინების გუგუნი მიწყდა, მაგრამ მინდვრად გამოჩნდნენ რკინის ხარები და მიწა გადააშავეს, დაიწყეს მზრალად ხვნა. ეს სამუშაო წარმატებით მიმდინარეობს გურჯაანის, სიღნაღის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, დუშეთის, გორის, ახალციხის საწარმოო სამმართველოებსა და საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტში.

ხვნის პარალელურად დაიწყო საშემოდგომო ხორბლის თესვა. თესვისათვის ხელსაყრელ ამინდებს კარგად იყენებენ ზემოთ დასახელებული საწარმოო სამმართველოები და წარმატებით თესავენ საშემოდგომო ხორბალს. რესპუბლიკაში 15 სექტემბრისათვის დათესილია 6.591 ჰექტარი, 2.029 ჰექტარით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. ახლა მთავარია არ შევანელოთ თესვის ტემპი, ვთესოთ აგროწესების ზუსტად დაცვით, მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მომავალი წლის უხვ მოსავალს.

ზნაურის რაიონის სოფელ ალვანის კოლმეურნეობაში დაიწყო საქონლის საკვები სილოსის ჩადება. ათ დღეში ტრაქტორისტმა ნ. ჩიგლაძემ და მიმბმელმა გ. კაცელაშვილმა აიღეს და ჩადეს 170 ტონა სილოსი.

სურათზე: სასილოსე მწვანე მასის აღება სოფელ ალვანის კოლმეურნეობაში.

ფოტო ვ. უბოჟენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).



# სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება სოფლის მშრომელთა ღირსების საქმეა

## საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კომიტეტში

[illegible] გაფართოებული სხდომა, რომელზეც მოწვეული იყვნენ აგრეთვე ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების უფროსები და პარტორგები, პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და სხვა რესპუბლიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

**მოისმინეს** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის ამხ. **მ. ი. კუჭავას** მოხსენება „სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ“.

ამჟამად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა, თქვა მომხსენებელმა, წლის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე დგას უმნიშვნელოვანესი ამოცანა — უდანაკარგოდ და სწრაფად აიღონ მოსავალი, საიმედოდ მოამზადონ პირუტყვის გამოსაზამთრებლად, კარგი ხარისხით შეასრულონ საშემოდგომო ხვნა-თესვა, წარმატებით გაანაღდონ სოფლის მეურნეობის ყველა სახეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმები.

ამხ. კუჭავამ გააშუქა, თუ როგორ სრულდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმები რესპუბლიკაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში მევენახეობის ხვედრითი წონა 20 პროცენტს აღწევს. იგი ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა. ქართველმა მევენახეებმა დაძაბული შრომით შეძლეს ხანგრძლივი გვალვის დაძლევა, გადალახეს ძლიერი ქარებითა და სეტყვით გამოწვეული სიძნელეები, მიაღწიეს კარგ მოსავალს. ყველა საწარმოო სამმართველოში არის იმის რეალური შესაძლებლობა, რომ შესრულდეს ყურძნის დამზადების გეგმა. მსხმოიარე ვენახების ფართობი რესპუბლიკაში 50 ათას ჰექტარს შეადგენს. საშუალოდ ჰექტარზე რომ 60 ცენტნერი მივიღოთ, მაშასადამე, საერთო მოსავალი 300 ათასი ტონა იქნება. ამრიგად, რეალური პირობებია იმისათვის, რომ სახელმწიფოს ჩაბარდეს სულ ცოტა 190 ათასი ტონა ყურძენი.

რთველი უკვე დაიწყო. მთელი ძალები უნდა დავრაზმოთ, რომ ორგანიზებულად მოეწყოს კრეფა, სახელმწიფოს ჩაბარდეს მაღალხარისხოვანი ყურძენი. ამასთანავე საჭიროა კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ვენახების მოვლა-პატრონობა. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ლიკვიდირებულ იქნას სიმეჩხრე, რომლის გამო დიდძალ პროდუქციას ვკარგავთ ყოველწლიურად. წელს უნდა გაშენდეს 7.080 ჰექტარი ვენახი. გაზაფხულზე გაშენებულია მხოლოდ 621 ჰექტარი. ამრიგად, სამუშაოს მეტი წილი შემოდგომაზეა შესასრულებელი. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ გეგმა უთუოდ შევასრულოთ.

პასუხსაგები ამოცანები დგას მეხილეთა წინაშე. 1962 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხეხილის ბაღები უნდა გაშენდეს 6.652 ჰექტარზე. ჯერჯერობით გეგმა შესრულებულია 35,4 პროცენტით. ახლავე უნდა შემოწმდეს, თუ როგორ მიმდინარეობს ბაღების გაშენებისათვის ნიადაგის მომზადება. სარგავი მასალა საკმარისია და ამ მხრივ დაბრკოლება არ იქნება. საჭიროა მხოლოდ უზრუნველვყოთ მისი დროულად გამოტანა სანერგე მეურნეობებიდან და აგროტექნიკურ ვადებში დარგვა.

1 სექტემბრისათვის კურკოვანი ხილის შესყიდვის გეგმა 71,6 პროცენტით არის შესრულებული. ჩამორჩნენ ცხაკაიის, სოხუმის, გურჯაანის, ზესტაფონის, სამტრედიის, დუშეთის, ამბროლაურის, მახარაძის, ზუგდიდის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები, საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი. დანაკლისი ახლა უნდა დაიფაროს თესლოვანი ხილით. რეალური შესაძლებლობაა იმისათვის, რომ ხილის შესყიდვის გეგმა წარმატებით შესრულდეს, მით უმეტეს, რომ თესლოვანი ხილის შესასყიდი ფასები მნიშვნელოვნად არის გადიდებული.

მეჩაიეებმა ვადაზე ადრე შეასრულეს როგორც წლიური გეგმა, ისე ვალდებულება. ჩაის ფოთლის კრეფა წარმატებით გრძელდება.

მაგრამ თუ ფოთლის კრეფაში გვაქვს მიღწევები, ეს არ ითქმის ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმის შესრულებაზე. 2.000 ჰექტარის ნაცვლად ახალი პლანტაციები გაშენებულია მხოლოდ 446 ჰექტარზე. განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენა აქვთ აფხაზეთის, ცხაკაიის, ზუგდიდის, წყალტუბოს, სამტრედიისა და ზესტაფონის ტერიტორიული სამმართველოების მეურნეობებს.

მეჩაიეებმა ახლავე უნდა დაიწყონ ზრუნვა მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის. არ უნდა დავუშვათ ფოთლის ხელალებით კრეფა, რადგანაც იგი, როგორც ეს პრაქტიკამ დაგვანახვა მომდევნო წლებში ამცირებს მოსავლიანობას. ფოთოლი ლაო ჩაისათვის უნდა ვკრიფოთ მხოლოდ ისეთ ადგილებში, სადაც ყინვის საშიშროება არ არის.

არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, ცუდი მოსავალი როდი მიუღიათ მეციტრუსეებს. წელს 35.550 ტონა ციტრუსები უნდა დამზადდეს.



მზადება მოსავლის ასაღებად ორგანიზებულად მიმდინარეობს. მეტ წილ რაიონებში საჭირო რაოდენობით მომარაგებულია ტარა. საჭიროა მხოლოდ ორგანიზებულად ავიღოთ მოსავალი და დროულად მოვიხადოთ ვალი სახელმწიფოს წინაშე. ციტრუსების ახალი ბაღები უნდა გაშენდეს 625 ჰექტარზე. ნერგები საკმარისად გვაქვს როგორც ახალი პლანტაციების გასაშენებლად, ისე მეჩხერი ბაღების შესავსებად.

უკანასკნელ წლებში წარმატებით სრულდება დაფნის გაშენებისა და ფოთლის დამზადების გეგმები. მაგრამ ნაკლი აქაც გვაქვს. კერძოდ, ამ კულტურას საკმაო ყურადღებას არ უთმობენ კოლმეურნეობები, არ გვყოფნის საკუთარი თესლი.

წელს ფართოდ გავრცელებულმა სოკოვანმა ავადმყოფობამ დააზიანა თამბაქოს სანერგეები და პლანტაციები აფხაზეთისა და აჭარის კოლმეურნეობებში. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა პლანტაციების დროულად და კარგი ხარისხით დამუშავებას, ზრუნვას თითოეული ფოთლის შენარჩუნებისათვის. მაგრამ ყველგან ასე როდი მოიქცნენ. საჭიროა მაქსიმალური ღონისძიებანი განვახორციელოთ თამბაქოს მოსავლის სრულად და უდანაკარგოდ აღებისათვის. თამბაქოს შედარებით კარგი მოსავალია მარნეულისა და ლაგოდეხის რაიონებში, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ მნიშვნელოვნად გადააჭარბონ დავალებას. თამბაქოს ფოთლის შესყიდვის გეგმის უთუოდ შესრულებას ისიც შეუწყობს ხელს, რომ შესასყიდი ფასები გაიზარდა.

წელს მიღწეულია შაქრის ჭარხლის კარგი მოსავალი. მისი აღება მალე დაიწყება. სახელმწიფოს ჩაბარდება გეგმით გათვალისწინებულ 160 ათას ტონაზე მეტი.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ეთერზეთოვანი კულტურების გაშენების გეგმა არც ერთ რაიონს არ შეუსრულებია. განსაკუთრებულად ჩამორჩნენ ცხაკაიის, აბაშისა და თელავის რაიონები. ვერ შესრულდა ვარდის ფურცლის დამზადების გეგმა. ახლა საჭიროა უდანაკარგოდ ავიღოთ გერანისა და რეჰანის მწვანე მასა.

ნელი ტემპით მიმდინარეობს ბოსტნეულის, განსაკუთრებით კიტრის, პამიდორის, ხახვისა და სტაფილოს დამზადება. განსაკუთრებით ჩამორჩება მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი, რომელმაც წლიური გეგმა ჯერჯერობით მხოლოდ 29,8 პროცენტით შეასრულა. დამაკმაყოფილებლად ვერ ამზადებენ ბოსტნეულს გორის, თეთრი წყაროს, შუახევის, ახალციხის, სოხუმის, ზუგდიდის, დუშეთის საწარმოო სამმართველოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ბოსტნეული უნდა ავიღოთ უდანაკარგოდ, დროულად დავახარისხოთ და ჩავაბაროთ. შემოდგომაზე დამატებით დაითესება ზოგიერთი ბოსტნეული. სრულიად შეუწყნარებელია, რომ რესპუბლიკის მოთხოვნილებას კარტოფილზე ვერ ვაკმაყოფილებთ, მაშინ როცა იგი საკმარისი რაოდენობით მოგვყავს. ამის მიზეზი ის არის, რომ სამომხმარებლო კოოპერაციამ ჯერ კიდევ ვერ მოაწყო კარტოფილის შესყიდვა კოოპერაციის წესით.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა მარცვლეულის დამზადების მიმდინარეობაზე. თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი უკეთესია შარშანდელთან შედარებით. წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სიმინდის ნათესების ფართობი, პარკოსნებისა კი — სამჯერ და უფრო მეტად. რესპუბლიკის ბევრმა მეურნეობამ ბარდის კარგი მოსავალი მიიღო. საჭიროა მათი გამოცდილება ფართოდ განვაზოგადოთ. მომავალი წლისათვის ყველა საწარმოო სამმართველო უზრუნველყოფილია ბარდის თესლით. თვითეულმა კოლმეურნეობამ კარგად უნდა მოიფიქროს მისი მოყვანის საკითხი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

ხანგრძლივმა გვალვებმა და ძლიერმა ქარებმა საგრძნობლად დააზიანეს სიმინდის ნათესები აღმოსავლეთ საქართველოში. საჭიროა მთელი მწვანე მასა მთლიანად ავიღოთ სასილოსედ. სიმინდის მოსავალს სამარცვლედ კარგი პირი უჩანს დასავლეთ საქართველოს რაიონებში და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონის სარწყავ ზონებში. მთელი ეს მოსავალი უდანაკარგოდ უნდა ავიღოთ.

მომავალი წლის მარცვლეულის მოსავლის ბედი მთლიანად დამოკიდებულია საშემოდგომო თესვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში შესრულებაზე. სამწუხაროდ, თესვისათვის მზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. გვიანდება სათესლე მასალის გაწმენდა, კონდიციური თესლის მომარაგება. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დროულად უნდა გაიტანონ ბაზებიდან სათესლე მასალა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას საკავშირო ფონდიდან გამოეყო.

არადამაკმაყოფილებელია მზრალად ხვნის ტემპი. ჩამორჩებიან გურჯაანის, დუშეთის, გორის, თელავის, ბოლნისის სამმართველოები, სპეციალიზებული ტრესტის მეურნეობები. ახლა მთავარია სატრაქტორო პარკის და მუშა პირუტყვის სრული დატვირთვით გამოყენება.

შვიდი თვის მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს მეცხოველეობაში. 1 აგვისტოსათვის მეცხოველეობის სულადობამ იკლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ამრიგად, პირუტყვის სულადობის გეგმის შესრულება საფრთხეშია. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მეცხვარეობაში, სადაც გეგმის გადამეტებით ჰყავთ 237 ათასი ცხვარი. ჩვენი აზრით, უმჯობესია გავზარდოთ სახელმწიფოსათვის ცხვრის ხორცის ჩაბარება, რაც საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი. გამოსაზამთრებლად დატოვებულ სულადობაში ნეზვი უნდა შეადგენდეს სულ ცოტა 70 პროცენტს ნაცვლად გასული წლის 57 პროცენტისა.

ცუდად მიმდინარეობს ხორცის დამზადება. ეს გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფოს ბარდება მცირე წონის, დაბალი ნაკვებობის პირუტყვი. ბევრ მეურნეობაში ხანგრძლივად ინახავენ სახელმწიფოსათვის მისასყიდ პირუტყვს. ეს იწვევს საკვებისა და შრომის ზედმეტ დანახარჯებს, პროდუქციის თვითღირებულების ზრდას.

შარშანდელთან შედარებით ნაკლებია აგრეთვე რძის წარმოება. ამ მხრივ ჩვენ ჩამოვრჩებით, ყველა რესპუბლიკაზე უარესი მაჩვენებლები გვაქვს. მკვეთრად შეამცირეს რძის წარმოება აფხაზეთმა, ზუგდიდის, თელავის სამმართველოებმა. მართალია, სახელმწიფოს შარშანდელთან შედარებით მეტი რძე მიეყიდა, მაგრამ ეს მაინც არადამაკმაყოფილებელია. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მეწველ საქონელს ცუდად კვებავენ, არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ჯიშთასანაშენო მუშაობა.

უკეთესად მიმდინარეობს მატყლისა და კვერცხის დამზადება. საჭიროა აღებული ტემპი შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო გავაძლიეროთ. განსაკუთრებულ მზრუნველობას მოითხოვს მეფრინველეობის განვითარება, რომლისადმიც ბოლო დროს ყურადღება შესუსტდა.

მეცხოველეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი პირობაა პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. ამ საქმეში ბევრი გამოუყენებელი რეზერვი გვაქვს: დღემდე არ არის დანერგილი განმეორებითი თიბვა სარწყავ და ტენით უზრუნველყოფილ ადგილებში, ბევრგან დაგვიანებით იღებენ და ზვინავენ ნამჯას. სილოსის ჩადება, მიუხედავად იმისა, რომ სიმინდი თითქმის ყველგან სათანადოდ დამწიფდა, არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. წვნიანი საკვების დასამზადებლად მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მეცენარეობის ნარჩენები, კერძოდ, შაქრის ჭარხლის და საკვები ძირხვენების ფოჩი, კომბოსტოს ფოთოლი.

აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა 1 სექტემბრისათვის შესრულებულია 86,5 პროცენტით. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით დამზადებულია 201 ტონით მეტი. ახლა უკვე დაიწყო ზაფხულის გამოკვების პარკის დამზადება.

მომხსენებელი შეეხო საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ფინანსურ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, რაც გამოწვეულია მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქციის წარმოების გეგმების შეუსრულებლობით. მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში უყაირათოდ იყენებენ ფულად სახსრებს, საკვებსა და სხვა მატერიალურ ფასეულობებს. გურჯაანის, ზუგდიდის, ცხინვალისა და გორის რაიონის კოლმეურნეობებში შემოწმებით გამოვლინებულია საკოლმეურნეო თანხებისა და შრომადღეების უკანონოდ ხარჯვის ფაქტები. კოლმეურნეობებმა, რომლებსაც სამისოდ რეალური საშუალებები არ გააჩნიათ, თავი უნდა შეიკავონ ადმინისტრაციული და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ზედმეტი მშენებლობისაგან.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. მისმა მონაწილეებმა ილაპარაკეს დიდ შრომით აღმავლობაზე, რაც ახლა სუფევს საქართველოს საკოლმეურნეო სოფლებში. მეტ წილ მეურნეობებში მოყვანილია სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი. ახლა სოფლის მშრომელების ყველაზე დიდი საზრუნავია პირნათლად გაანაღდონ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოების, ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოების მუშაკთა მთელი ძალები მიმართულია იქითკენ, რომ დაეხმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უხვი მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებაში, ვალდებულებათა პირნათლად შესრულებაში.

კამათში პირველი გამოვიდა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ი. ს. ჩიაევი**. მან აღნიშნა, რომ ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მუყაითად იშრომეს, ძირითადად დაძლიეს ამინდის არახელსაყრელი პირობებით გამოწვეული სიძნელეები. წელს მიღწეულია მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის გარკვეული ზრდა, შესრულდება ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის დამზადების სახელმწიფო გეგმები. მიღებულია ღონისძიებანი მეცხოველეობის საკვები ბაზით უზრუნველსაყოფად. დიდ ფართობზე განმეორებით დაითესა ბარდა, რაც საკვების მნიშვნელოვან რეზერვს შექმნის. ღორისა და ფრინველის ხორცის წარმოების გადიდებისათვის უკეთესად მივიჩნიეთ წვრილი ფერმების მაგიერ ვიქონიოთ მსხვილი, მაღალსასაქონლო ფერმები. თვითეულ რაიონში გვექნება სამი ან ოთხი ასეთი ფერმა.

შემდეგ ამხ. ჩიაევი ლაპარაკობს იმ ზრუნვის შესახებ, რასაც მემინდვრეები იჩენენ მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის. გაჩაღდა საშემოდგომო თესვა. უხვმოსავლიანი მარცვლეული კულტურების ნათესების ფართობის გაზრდის მიზნით მიმდინარეობს მიტოვებული მიწების ათვისება. უკვე ათვისებულია 400 ჰექტარზე მეტი ფართობი. უახლოესი ორი წლის განმავლობაში მიტოვებული მიწები მთლიანად იქნება ათვისებული.

აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. **გ. ი. ბერულავამ** ილაპარაკა, რომ უმაგალითო გვალვის გამო აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი გაგრისა და გუდაუთის რაიონებში დაიღუპა თამბაქოს, სიმინდის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესები. საგრძნობია ხილის, ციტრუსოვანთა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების ნაყოფის დაცვივნა. დიდი ჩამორჩენაა ჩაის ფოთლის კრეფაში, განსაკუთრებით გუდაუთის რაიონში, რომელიც წლების მანძილზე ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იყო. შედარებით კარგი მდგომარეობაა გალის რაიონში, სადაც ამინდის უკეთესი პირობები იყო.

ილაპარაკა რა მდგომარეობაზე მეცხოველეობაში, ამხ. ბერულავამ აღნიშნა, რომ 1 სექტემბრისათვის გალისა და გაგრის რაიონებმა უკვე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმები და ახლა აბარებენ გეგმის გადამეტებით. ფაქტიური მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხორცის დამზადების წლიური გეგმა მთლიანად ავტონომიურ რესპუბლიკაში აუცილებლად შესრულდება. მიღებულია ღონისძიებანი იმისათვის, რომ დავამზადოთ რძის მაქსიმალური რაოდენობა. გადაჭარბებით შესრულდება დაფნის ფოთლის დამზადების გეგმა.

წელს აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვერ შეასრულეს კურკოვანი ხილის დამზადების გეგმა, მაგრამ არის რეალური შესაძლებლობანი, რომ ეს დანაკლისი ანაზღაურდეს თესლოვანი ხილით. ორატორმა აღნიშნა, რომ მეხილეები ტარით თითქმის მთლიანად არიან მომარაგებულნი, მაგრამ იგივე არ ითქმის სარკინიგზო ტრანსპორტზე. მცირე რაოდენობით არის გამოყოფილი ვაგონები ხილის გადასაზიდავად.

— პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ჩვენი სამმართველოს მეურნეობების მშრომელებმა პირველი სასიხარულო წარმატებანი მოიპოვეს, — ამბობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ცხაკაიას ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში ამხ. **ი. პ. შონია**. — გადაჭარბებით შესრულებულია განვლილი თვეების დავალება ყველა სახეობის პროდუქციის წარმოების მიხედვით. წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მოვკრეფთ 1.200-1.300 ტონა ხარისხოვან ფოთოლს.

შარშანდელთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა მეტი: 4.592 ცენტნერი რძე, 94,1 ათასი ცალი კვერცხი. ასევე მნიშვნელოვნად მეტი ხორცი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები. გადაჭარბებით შესრულდა დავალებანი მეცხოველეობის სულადობის მხრივ. მაგალითად, ღორი გვყავს 5.600 სულით მეტი.

ორატორი ახასიათებს აბაშის რაიონის ახლანდელ ეკონომიურ მდგომარეობას, შარშან ამ რაიონის კოლმეურნეობების საერთო ფულადი შემოსავალი 1 მილიონ მანეთზე ნაკლებიც იყო. ჩვენ მიზნად დავისახეთ დავეხმაროთ აბაშელ მშრომელებს უფრო შემოსავლიანი დარგების განვითარებაში. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ აქ ჩაის პლანტაციების ნაცვლად უმჯობესია გაშენდეს დაფნის ფოთოლი. უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების განმტკიცებისათვის.

მევენახეობის განვითარების ახლანდელ მდგომარეობას მიუძღვნა ძირითადად თავისი გამოსვლა გურჯაანის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს უფროსმა ამხ. **დ. ე. ხარიშვილმა**. სამმართველოს მეურნეობებში 6.682 ჰექტარი ვენახია, მათ შორის 3.628 ჰექტარი — მსხმოიარე. აღნიშნულ ფართობზე დროულად შესრულდა აგროტექნიკური ღონისძიებანი — ნიადაგის დამუშავება, ვაზის მოვლა, მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლა. უფრო გაფართოვდა მექანიზაციისა და ავიაციის გამოყენება ვენახებში. წინასწარი ვარაუდით ჰექტარზე საშუალოდ უნდა მივიღოთ 75-80 ცენტნერი ყურძენი. მიუხედავად სტიქიურ მოვლენებით გამოწვეული ზარალისა, რეზერვების სრული გამოყენებით შევძლებთ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების შესრულებას.

მიმდინარე წელს სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა გააშენონ 1.400 ჰექტარი ახალი ვენახები. პლანტაჟი ძირითადად მომზადებულია, მაგრამ გვაკლია 2,5 მილიონზე მეტი ვაზის ნერგი, რაშიც გვესაჭიროება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს დახმარება.

შემდეგ სიტყვა მიეცა მებოსტნეობა-მერძევეობის სპეციალიზებული ტრესტის მმართველს ამხ. **დ. გ. შარაშიძეს**. მან აღნიშნა, რომ ტრესტის შემადგენლობაში შემავალ მეურნეობებს საგრძნობი ჩამორჩენა აქვთ მეცხოველეობის განვითარებაში. ხორცის ჩაბარების ტემპი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია, რაც იმით აიხსნება, რომ დიდი დანაკლისია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმის შესრულებაში, ტრესტის მეურნეობები დამაკმაყოფილებლად ვერ ემზადებიან პირუტყვის გამოსაზამთრებლად. ჯერჯერობით სილოსის დამზადების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 23 პროცენტით. ტრესტის მეურნეობებს საგეგმოსთან შედარებით 1.100 ძროხა აკლიათ. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება ჩამორჩენა რძის წარმოებაში.

მეცხოველეობაში ვეტერინარულ ღონისძიებათა ეფექტურობის გაუმჯობესების საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა ახალციხის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს უფროსმა ამხ. **ი. ს. ხარისჩარიშვილმა**. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ საჭიროა მეცნიერებმა გააძლიერონ მუშაობა თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინის გასაუმჯობესებლად, რადგანაც იგი სასურველ შედეგს ვერ იძლევა. საჭიროა ამაღლდეს მეცხოველეობის სპეციალისტთა როლი თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, გაიზარდოს მათი პასუხისმგებლობა.

სასახელო წარმატებებს მიაღწიეს აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. ამაზე ილაპარაკა აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. **ი. თ. ცივაძემ**. აჭარელმა მეჩაიეებმა წარმატებით შეასრულეს წლიური გეგმა. გეგმის გადამეტებით მოკრიფეს 1.000 ტონა ფოთოლი, ახლა კი წარმატებით ანაღდებენ ახალ ვალდებულებას — კიდევ მოკრიფონ 1.500 ტონა. ჩაის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 4.800 კილოგრამს გადააჭარბა და წლის ბოლომდე კიდევ 5.000 კილოგრამს მიაღწევს. ამით შვიდწლიანი გეგმის დავალება ვადამდე იქნება განაღდებული.

აჭარის სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი დარგია მეციტრუსეობა. ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლა-პატრონობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, დიდი რაოდენობით შეტანილია ტორფოვანი სასუქი. ახლა ორგანიზებულად მიმდინარეობს მზადება მოსავლის აღებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლაში. კერძოდ ციტრუსოვანთა ნარგავებს დიდ ზარალს აყენებს დაავადება მალსეკო. ყველა პროფილაქტიკური ღონისძიება უშედეგო აღმოჩნდა. საჭიროა სამეცნიერო ორგანიზაციებმა, რომლებიც მცენარეთა დაცვაზე მუშაობენ, გამონახონ უფრო რადიკალური ღონისძიებანი.

წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა ტუნგოს ნარგავების, დაფნის და ბამბუკის პლანტაციების, ხეხილის ბაღებისა და ვენახების მოვლა-პატრონობა. მოსავალსაც კარგი პირი უჩანს. სახელმწიფო დავალებანი გადაჭარბებით შესრულდება.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ ამხ. **ი. მ. ხოხლოვმა** თქვა: სოფელ კალინოვკაში თავის გამოსვლაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ახალი ამოცანები დაუსახა „სოფლტექნიკის“ ორგანოებს. ისინი ვალდებული არიან გარდაქმნან მუშაობა, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან ერთად გაზარდონ პასუხისმგებლობა ახალი ტექნიკის დანერგვისა და არსებული ტექნიკის გამოყენებისათვის. ამ მხრივ რესპუბლიკაში გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული. რაიონებში მოეწყო ტექნიკური მომსახურების 21 სადგური, კიდევ მოეწყობა 20 ასეთი სადგური. ახალი დანადგარებით აღიჭურვა სარემონტო სახელოსნოები. ამჟამად მიმდინარეობს დიღმის სარემონტო ქარხნის რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც მისი წარმადობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. შექმნილია რაიონული და სარაიონთაშორისო სამონტაჟო ბრიგადები, რომლებიც განახორციელებენ მეცხოველეობის ფერმების ელექტრომექანიზაციას.

ამ და კიდევ მრავალი სხვა ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში. ამის მიზეზი ის არის, რომ სრული დატვირთვით არ ვიყენებთ არსებულ ტექნიკას, განსაკუთრებით კი სამთო მიწათმოქმედებაში. ბევრგან უდიერად ეპყრობიან მანქანებსა და მექანიზმებს. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა მოსთხოვონ მექანიზატორებს. ბევრ მეურნეობაში გულგრილობას იჩენენ მექანიზაციისადმი. ჩვენს ბაზებში ახლა 50 სიმინდის ასაღები კომბაინია, მაგრამ ამ საჭირო აგრეგატის შესაძენად არავინ ზრუნავს.

წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფა მატერიალური რესურსებით. გაცილებით მეტი რაოდენობით მივიღეთ მინერალური სასუქები, ტექნიკა, საბურავები, შხამმასალები. საჭიროა დროულად ავითვისოთ პროდუქცია, რომელსაც მრეწველობა გვაძლევს. ეს ძვირფასი მასალები საწყობებში ოც მილიონზე მეტი მანეთისა დაგროვდა. ტერიტორიულმა საწარმოო სამმართველოებმა, პარტიის რაიკომებმა და რაისაბჭოებმა საჭირო ღონისძიებანი უნდა განახორციელონ აღნიშნული მასალების დროულად გატანისათვის.

— ცნობილია, ამბობს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველოს უფროსი ამხ. **ვ. ტ. ურუშაძე**, რომ ხორცის დამზადება ძირითადად შემოდგომის თვეებში წარმოებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ ცუდად არის ორგანიზებული პირუტყვის გასუქება. ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პირუტყვის ჩაბარება ისე უნდა მოაწყონ, რომ მიმღებ პუნქტებს საშუალება ჰქონდეთ შეუფერხებლად და ნორმალურად გადაამუშაონ ხორცი.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძე**. უაღრესად პასუხსაგები პერიოდია ახლა სოფლის მეურნეობის მუშაკთა ცხოვრებაში, თქვა მან. მინდვრებისა და პლანტაციების, მეცხოველეობის ფერმების მშრომელები იმკიან მთელი წლის თავდადებული შრომის ნაყოფს, საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს, ზრუნავენ პირუტყვის ორგანიზებულად გამოზამთრებისათვის. ყველა ეს სამუშაო, როგორც ეს დღევანდელმა სხდომამაც დაადასტურა, ძირითადად ორგანიზებულად და ჯეროვანი ხარისხით მიმდინარეობს. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების შრომითს აქტივობას, წარმართონ იგი ჯერ კიდევ გადაუჭრელი ამოცანების განსახორციელებლად.

კარგად, მუყაითად იშრომეს წელს ჩვენმა სახელოვანმა კოლმეურნე გლეხობამ და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა. მათი თავდადებული შრომა მიმართული იყო იქითკენ, რომ პირნათლად შეესრულებინათ სკკპ XXII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მითითება — უკვე წელს მკვეთრად გადიდდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, რათა მტკიცე საფუძველი ჩაეყაროს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომ მძლავრ აღმავლობას.

ცნობილია, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე მთელი პრინციპულობით გამოაშკარავებულ იქნა სოფლის მეურნეობის განვითარებაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი. ამხანაგმა ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ საგრძნობლად ჩამოვრჩებით მარცვლეულის, ხორცის, რძის, წარმოების შვიდწლიანი გეგმის შესრულებაში. და დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ყველა შესაძლებლობა გვაქვს ჩამორჩენის დასაძლევად.

ეს კრიტიკა მთლიანად და სავსებით ეხება ჩვენს რესპუბლიკასაც. საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკანასკნელ წლებში სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს, გაზარდეს ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, მაგრამ ჩამორჩნენ ხორცის და რძის წარმოებაში შვიდწლიანი გეგმით დაწესებულ მაჩვენებლებს.

სწორედ ამაზე მიგვითითა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პლენუმზე: „ჩაისათვის საბჭოთა ადამიანები მადლობას გეუბნებიან, ამხანაგო ქართველებო. მაგრამ იმისათვის კი, რომ შვიდწლედის პირველი სამი წლის დავალება შეასრულეთ ხორცის წარმოებაში 85 და რძისა 74 პროცენტით, წარმოების ასეთი დონისათვის საეჭვოა ვინმემ გითხრათ მადლობა“. ამ კრიტიკიდან რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, ყველა მშრომელმა საჭირო დასკვნები გამოიტანეს და მუშაობა ისე წარმართეს, რომ უკვე წელს სერიოზულად გამოესწორებინათ სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში შექმნილი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, შეენარჩუნებინათ და განემტკიცებინათ მთელი რიგი დარგების განვითარებაში მიღწეული წარმატებანი.

სასახელოდ იმუშავეს ჩვენმა მეჩაიეებმა, ოთხ თვეზე მეტია გრძელდება ბრძოლა ჩაისათვის. ჩაის პლანტაციების მშრომელთა ენთუზიაზმი მისაბაძია. დღეისათვის მათ უკვე გადააჭარბეს როგორც წლიურ გეგმას, ისე შვიდწლედის მეოთხე წლისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება და უნდა განვაგრძოთ, სანამ ეს შესაძლებელია. კარგად იმუშავეს ყველა საწარმოო სამმართველოს, რაიონის, მეურნეობის მეჩაიეებმა. რამდენადმე ჩამორჩნენ აფხაზეთის მეჩაიეები, რაც ნაწილობრივ ამინდის მეტად ცუდი პირობებით არის გამოწვეული. მაგრამ აფხაზეთის მეჩაიეებმა მთელი ძალები უნდა დაძაბონ და მიაღწიონ იმას, რომ უთუოდ შეასრულონ წლიური გეგმა. ეს მათი ღირსების საქმეა.

კარგი მოსავალი მოიყვანეს მევენახეებმა. მართალია, სეტყვამ და უამინდობამ კახეთის მევენახეობის წამყვან რაიონებში მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ვენახებს, მაგრამ მაინც არის იმის შესაძლებლობა, რომ წარმატებით შეასრულონ ვალი ქვეყნის წინაშე. სწორედ აქ არის საჭირო ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების მუშაკების, პარტორგების, რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების მოქნილი ორგანიზატორული მუშაობა. საჭიროა ისე მოვაწყოთ საქმე, რომ დროულად და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, კარგად მოვაწყოთ ყურძნის მიღება როგორც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან, ისე მოსახლეობისაგან.

უკანასკნელ წლებში არსებითი წარმატებებია მოპოვებული დაფნის ფოთლის წარმოებაში. გადიდდა დაფნის ხის პლანტაციები მთელ დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთშიც კი — კახეთის რაიონებში. 1954 წელს ჩვენ სულ 400 ტონა დაფნის ფოთოლი დავამზადეთ, წელს კი უკვე 1280 ტონა. ეს კარგია, ძალიან კარგია, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას დაფნის ფოთოლზე ჩვენ თითქმის უკვე მთლიანად ვაკმაყოფილებთ. არ უნდა შევანელოთ ღონისძიებანი დაფნის ფოთლის წარმოების გადიდებისათვის. რაც უფრო მეტი გვექნება იგი, მით უკეთესია.

წინა წელთან შედარებით რესპუბლიკაში საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ ოთხი ცენტნერით მეტი მარცვალი. ეს ცუდი მაჩვენებელი როდია. თავთავიანი კულტურების როგორც ფართობმა, ისე მოსავალმა საგრძნობლად იმატა. მკა ორგანიზებულად მიმდინარეობს და მალე დამთავრდება. შედარებით ცუდად გვაქვს საქმე მესიმინდეობაში. ძლიერმა გვალვამ მასობრივად გააფუჭა ნათესები. საჭიროა ავიღოთ სამარცვლედ ყველგან, სადაც კი ეს მოხერხდება, დანარჩენი ფართობები კი გამოვიყენოთ სასილოსე მასის მისაღებად. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა ისწავლონ პირუტყვის საკვებად სიმინდის მთელი ღეროს გამოყენება, როგორც ამას აკეთებენ მოწინავე მეურნეობებში.

მიუხედავად გარკვეული ძვრებისა, მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის წარმოებაში კვლავ სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა პირველი სექტემბრისათვის სანახევროდაც კი არ იყო შესრულებული. განსაკუთრებით ჩამორჩებიან გურჯაანის, თეთრი წყაროს, თელავის, ახალციხის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები.

რა არის იმის მიზეზი, რომ ასეთი დიდი ჩამორჩენა გვაქვს ხორცის წარმოებაში? პირველ რიგში ის, რომ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ პირუტყვის გასუქება. ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეურნეობები სუქებაზე აყენებენ 220-კილოგრამიან მოზვრებს, ჩვენ კი ნორმალურად ვთვლით მიმღებ პუნქტს ჩავაბაროთ ისეთი პირუტყვი, რომლის წონა 85 კილოგრამს არ აღემატება. დამამზადებელ პუნქტებში არ იღებდნენ იმ უშობლების ხორცს, რომლებიც მაკე აღმოჩნდებოდნენ. ეს სწორი არ არის. პირიქით, იმ უშობლების დაგრილება, რომლებიც სანაშენოდ არ გამოდგებიან და გასასუქებლად არიან გადარჩეული, ხელს უწყობს მათ მატებას წონაში და აქ არაფერია დასაგმობი.

ან ავიღოთ მეცხვარეობა. რესპუბლიკაში ხორცის დამზადების მნიშვნელოვანი ნაწილი ცხვარზე მოდის. ჩვენ ვაბარებთ ცხვარს, რომელიც საშუალოდ 30 კილოგრამს იწონის. განა ეს ნორმალურია? ეს ხომ ნახევარიც არ არის იმისა, რის მოცემაც შეუძლია თვითეულ ცხვარს! ყოველივე ეს კი იმიტომ ხდება, რომ მეცხვარეთა დიდ უმრავლესობას წარმოდგენაც არა აქვს იმაზე, რომ ცხვარი შეიძლება ვასუქოთ ისევე, როგორც მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. სწორედ ასე იქცევა ჩვენი ქვეყნის ბევრი მეურნეობა განვითარებული მეცხვარეობის რაიონებში.

კარგად ვერ არის დაყენებული აგრეთვე მეფრინველეობა. მას შემდეგ, რაც შევქმენით ფრინველის მსხვილი სახელმწიფო ფაბრიკები, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თითქმის სულ აიღეს ხელი მეცხოველეობის ამ სწრაფად მზარდ დარგზე. მივიწყებას მიეცა ისეთი სასარგებლო საქმე, როგორიც არის მეფრინველეობის მსხვილი საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები. ახლა ისინი მთლიანად სახელმწიფოსაგან მიღებულ საკვებზე მუშაობენ, კოლმეურნეობები კი სრულიად აღარ ამარაგებენ მათ.

წლის ბოლომდე ჯერ კიდევ საკმაო დროა დარჩენილი. ეს დრო საკმარისია იმისათვის, რომ დავძლიოთ ჩამორჩენა, საჭირო რაოდენობით გავასუქოთ პირუტყვი. საჭიროა ნაკადებად გავანაწილოთ გასასუქებელი პირუტყვი, მოვამზადოთ იგი ჩასაბარებლად. უნდა გადიდდეს ღორისა და ფრინველის ხორცის წარმოება.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ ზრუნავენ მერძეულ პირუტყვზე. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით. ძროხების რაოდენობა კი გეგმით გათვალისწინებულზე ნაკლებია. ამ მხრივ პირველ რიგში საყვედური ეთქმით გორის, სიღნაღის, ბოლნისის, დუშეთის, თელავის, თეთრი წყაროს, სოხუმის, გუდაუთის, შუახევის ტერიტორიული სამმართველოების, მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებს.

ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ დედაპირუტყვისათვის ზრუნვა მეცხოველეობის მთელი ბედისათვის ზრუნვაა. საჭიროა მეტს ვზრუნავდეთ სანაშენო მოზარდეულისათვის. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ გვყავდეს ძროხის არა მარტო [illegible]

ცუდად როდი მიდის აბრეშუმის პარკის დამზადება. თავი ისახელეს მახარაძელმა მეაბრეშუმეებმა, რომლებმაც უკვე პირველი გამოკვების მოსავლით 503 ცენტნერით გადააჭარბეს წლიურ გეგმას. სახელმწიფოს წინაშე ვალი პირნათლად მოიხადეს აგრეთვე წყალტუბოელმა და აჭარელმა მეაბრეშუმეებმა. მაგრამ არიან ჩამორჩენილებიც. მაგალითად, თელავის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს მეაბრეშუმეებს გეგმის შესრულებას უკლიათ 220 ცენტნერი პარკი, მაშინ როცა სიღნაღის ტერიტორიული სამმართველოს მეაბრეშუმეებმა, რომლებსაც უკეთესი პირობები როდი აქვთ, გეგმა უკვე შეასრულეს 250 ცენტნერის გადაჭარბებით. საჭიროა ორგანიზებულად დავამთავროთ აბრეშუმის ჭიის მეორე გამოკვება, მივაღწიოთ იმას, რომ ყველა სამმართველომ, ყველა რაიონმა წარმატებით შეასრულოს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა.

ყველა პირობა და შესაძლებლობა არსებობს იმისათვის, რომ უთუოდ შევასრულოთ ხილის, ციტრუსების, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, კარტოფილის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოებული და დამზადებული პროდუქციის ხარისხს. ეს მნიშვნელოვანი საკითხი მეტწილად მოსავლის აღების დროს წყდება.

თათბირის მონაწილეთა ყურადღება მინდა შევაჩერო ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის კადრების მომზადება. ამ მხრივ პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს. მაგრამ ეს საკმარისი როდია. საჭიროა ჩვენს კადრებს — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ბრიგადირებს მუდამ ვზრდიდეთ ახლისადმი სწრაფვის სულისკვეთებით.

ბრძოლა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების, მეცნიერების მიღწევების დანერგვისათვის მთავარი საზრუნავი უნდა გახდეს მათს ყოველდღიურ საქმიანობაში. განა დასაშვებია, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევისწავლეთ ხეირიანად ისეთი პროგრესული მეთოდი, როგორიც არის თავთავიანი კულტურების ცალცალკე, ორ ფაზად აღება? და ეს მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეურნეობები უკვე ნერგავენ სიმინდის აღების ასეთ მეთოდს! სოფლის მეურნეობის თვითეული სპეციალისტის, სოფლის თვითეული მშრომელის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხები.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ საჭირბოროტო საკითხს, როგორიც არის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცება. არის ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ თვითეული მეურნეობა უზრუნველვყოთ საჭირო მუშახელით. აღმზრდელობითი მუშაობა ისე უნდა დავაყენოთ, რომ სოფლის თვითეული მშრომელი გრძნობდეს სრულ პასუხისმგებლობას თავის კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობისათვის.

ბევრ სოფელში კოლმეურნეები დროის დიდ ნაწილს თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთის მოვლას ანდომებენ. ალბათ საჭირო იქნება ამ ნაკვეთების ფართობის შემცირება. სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელთა პირველი რიგის საზრუნავი უნდა იყოს საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცება.

ამ დღეებში ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში განიხილავენ ცნობილი უკრაინელი კოლმეურნის ნადეჟდა ზაგლადას სტატიას „გავუფრთხილდეთ მინდვრის მშრომელთა ღირსებას“. ამ სტატიას, რომელიც ეხება სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდის ყველა რეზერვისა და შესაძლებლობის სრული გამოყენების აქტუალურ საკითხებს, დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. საჭიროა მოვაწყოთ ამ სტატიის ფართოდ განხილვა ადგილებზე, უფრო ზუსტად გამოვიანგარიშოთ რეზერვები, განვამტკიცოთ დისციპლინა, გავაძლიეროთ სოფლის მშრომელთა აქტივობა. ეს შვიდწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების აუცილებელი პირობაა.

საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობისაგან მოწყვეტას ხშირად ისიც უწყობს ხელს, რომ ცუდად არის მოწყობილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა კოლმეურნეებისა და მუშა-მოსამსახურეებისაგან. ცეკავშირმა უნდა გამოასწოროს ეს მდგომარეობა. შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალური დაინტერესების პრინციპის მტკიცედ დაცვას.

ახლა მთავრდება მოსავლის აღება, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ფრონტი როდი მცირდება. იწყება ხვნა-თესვა. საჭიროა იგი შევასრულოთ მაღალ დონეზე და აგროტექნიკურ ვადებში. ბევრ რაიონში ჯერ კიდევ უხარისხო თესლს თესავენ. ეს პირდაპირ მავნებლობაა. უნდა ვთესოთ მხოლოდ კარგად გადარჩეული დარაიონებული, ჯიშიანი თესლი. კარგად ამბობს ქართული ანდაზა: „რასაც დასთესავ-იმას მოიმკი“.

საჭიროა ვურჩიოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო გააფართოონ ბარდის ნათესები. წლევანდელი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს კულტურა დიდი რეზერვია მარცვლის, უხეში და წვნიანი საკვების მისაღებად. ბარდის მოყვანა ყველგან წარმატებით შეიძლება, ამასთან დასავლეთში — უმთავრესად როგორც საშემოდგომო, აღმოსავლეთ რაიონებში კი-როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო კულტურად. საჭიროა მხოლოდ შევარჩიოთ სათანადო ჯიშები.

დიდ აღმავლობას განიცდის ახლა ჩვენი საკოლმეურნეო სოფელი, თქვა დასასრულ ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ**. ჭეშმარიტად საერთო-სახალხო ხასიათი მიიღო სოციალისტურმა შეჯიბრებამ შვიდწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45-ე წლისთავი. პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, სოფლის ყველა კომუნისტის ღირსების საქმეა სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა თავდადებულ შრომას პარტიის XXII ყრილობის წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად, საბჭოთა ადამიანებისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად. (საქდეს).



# გორკი თბილისში ახალი მასალები

დიდი რუსი პროლეტარული მწერლის მ. გორკის პირველი ნაწარმოების „მაკარ ჩუდრას" შექმნა დაკავშირებულია რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლებული რევოლუციონერის ა. მ. კალიუჟნის სახელთან. მისმა მეგობრულმა რჩევამ განსაზღვრა მ. გორკის მომავალი სამწერლო მოღვაწეობის ბედიც.

ა. კალიუჟნისთან პირველ შეხვედრას არაერთგზის იგონებდა მ. გორკი, განსაკუთრებით კი მეგობრისა და მასწავლებლისადმი მიწერილ პირად წერილებში.

ვინც გაკვრით მაინც შეხებია მ. გორკის ცხოვრებას, თითქმის ყველას აქვს აღნიშნული ამ ორი ადამიანის ეს დაუვიწყარი შეხვედრა, მაგრამ თუ ვინ იყო დიდი რუსი მწერლის პირველი მასწავლებელი ა. მ. კალიუჟნი, ამაზე ან სრულიად არაფერს ამბობენ, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, ორიოდე სიტყვით მოიხსენიებენ ხოლმე რუსეთიდან კავკასიაში გადმოსახლებულ ხალხოსან რევოლუციონერს. ვფიქრობთ, საჭიროა უფრო მეტი ვიცოდეთ ამ ფრიად საინტერესო ადამიანზე. ამ საკითხზე საყურადღებო ცნობებს იძლევა საქართველოს ცენტრარქივის ჟანდარმერიის საქმეებში შემონახული მიწერ-მოწერა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლის ა. მ. კალიუჟნის შესახებ.

1891 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩამოსული მ. გორკი პირველსავე დღეს საპოლიციო უბანში მიიყვანეს, საიდანაც მოხეტიალე მგზავრის ერთადერთმა ნაცნობმა მ. ი. ნაჩალოვმა (ნაჩალოვი მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სტატისტიკურ განყოფილებაში უფროს მონაგარიშედ) ა. მ. გორკი კალიუჟნისთან წაიყვანა და გააცნო მას.

1892 წლის ივნისში ა. კალიუჟნიმ ა. პეშკოვი თავის ბინაზე გადაიყვანა საცხოვრებლად და საკუთარი ოთახი დაუთმო, სადაც ალექსი მაქსიმეს-ძე აგვისტოს შუა რიცხვებამდე დარჩენილა. სწორედ ამ დროს დაწერა მ. გორკიმ თავისი პირველი ნაწარმოები — „მაკარ ჩუდრა". ალექსანდრე მეთოდეს-ძე მ. გორკის რჩევა-დარიგებას აძლევდა და ეხმარებოდა სისტემატური ცოდნის შეძენაში. ალექსი მაქსიმეს-ძემ სულ მოკლე დროში გადაიკითხა ა. მ. კალიუჟნის ასი ტომისაგან შემდგარი ბიბლიოთეკა.

გავიდა წლები. დიდი რუსი მწერლის სახელი რუსეთის საზღვრებს გასცდა. დიდი დატვირთვისა და მოუცლელობის მიუხედავად, ალექსი მაქსიმეს-ძე ყოველთვის ნახულობდა დროს გულითად მეგობრებთან წერილის მიწერისათვის, ხოლო როდესაც თბილისში ჩამოვიდოდა, ყველაზე წინ ალექსანდრე მეთოდეს-ძე უნდა მოენახულებინა.

ა. მ. კალიუჟნი, ეროვნებით უკრაინელი, დაბადებულა 1853 წელს პოლტავის გუბერნიაში. დაუმთავრებია პოლტავის გიმნაზია და სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტში. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მუშაობაში.

### „მაკარ ჩუდრას" გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნების 70 წლისთავისათვის

ა. მ. კალიუჟნი 1874 წელს ხარკოვის რევოლუციონერი ახალგაზრდობის წრის ცენტრშია. იმავე წელს ა. მ. კალიუჟნი დააპატიმრეს, მაგრამ მალე გაათავისუფლეს.

1876 წლის თებერვალში ა. მ. კალიუჟნის კვლავ აპატიმრებენ, ხოლო სამი წლის შემდეგ ადმინისტრაციული წესით ასახლებენ არხანგელსკის გუბერნიაში, მაგრამ 1880 წელს ხარკოვის ოლქის სამხედრო პროკურორის მოთხოვნით კალიუჟნი ხარკოვში დააბრუნეს, მისი საქმე ხელახლა გაარჩიეს, ახალ დანაშაულთან ერთად ძველიც გაუხსენეს, ყოველგვარი უფლებები აჰყარეს, წოდებრივი პრივილეგია ჩამოართვეს და ექვსი წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. ა. მ. კალიუჟნი ტომსკში დაუახლოვდა და დაუმეგობრდა მწერალ სტანიუკოვიჩს, რომელმაც მასზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა და გარკვეული როლი შეასრულა ახალგაზრდა რევოლუციონერის სულიერ ჩამოყალიბებაში.

ყოფილი კატორღელი, პოლიტიკური დამნაშავე, თვითმპყრობელობისთვის საშიში პიროვნება, ტომსკელი მდაბიო ა. მ. კალიუჟნი 1890 წლის 15 ოქტომბერს საცხოვრებლად თბილისში ჩამოდის და აქ რჩება სიკვდილამდე.

თბილისში ჩამოსული კალიუჟნი დიდი წვალების შემდეგ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში სტატისტიკოსად მოეწყო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ კალიუჟნის საქართველოში ჩამოსვლისთანავე მას საიდუმლო მიმართვები დაადევნა.

1891 წლის 16 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო დეპარტამენტი თბილისის გუბერნატორს უგზავნის მიმართვას, რომლითაც ამ უკანასკნელს სთხოვს, რომ აცნობოს — 1890 წლის 25 აგვისტოს ტომსკიდან თბილისში წამოსული სახელმწიფო დამნაშავე, პოლიტიკური საქმიანობისათვის მსჯავრდადებული ტომსკის მდაბიო ა. მ. კალიუჟნი როდის ჩამოვიდა თბილისში, სად ცხოვრობს და რას აკეთებს.

იმავე წლის 23 აგვისტოს თბილისის პოლიცმეისტერი შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობებს, რომ ა. მ. კალიუჟნი თბილისში ჩამოვიდა 1891 წლის 25 ოქტომბერს და ცხოვრობს მე-8 საპოლიციო უბანში მექოთნეთა ქუჩაზე ანდრეევის სახლში, მუშაობს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში.

მეფის ოხრანკა ყოველნაირად ცდილობდა რაიმე ნივთიერი ან სხვა სახის საბუთი ჩაეგდო ხელში, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა კალიუჟნის თბილისიდან გაძევება. ყოველგვარი ახალი დამამტკიცებელი არგუმენტებისა და მოტივების უქონლად 1891 წელს კავკასიის მთავარმართებლის კანცელარია თბილისის გუბერნატორს უგზავნის მიმართვას და კატეგორიულად მოითხოვს, რომ ა. მ. კალიუჟნიმ დატოვოს თბილისი. ამჯერად სასოწარკვეთილმა ალექსანდრე მეთოდეს-ძემ თხოვნით მიმართა ქალაქის პოლიცმეისტერს, სადაც აუწყებდა, ოჯახური მდგომარეობისა და ეკონომიური ხელმოკლეობის გამო თბილისიდან ჩემი სხვა ადგილზე გადასვლა ყოვლად შეუძლებელიაო. თბილისის პოლიცმეისტერმა ამჯერად „ლმობიერება" გამოიჩინა, იშუამდგომლა გუბერნატორის წინაშე და კალიუჟნი დატოვეს თბილისში საცხოვრებლად.

1898 წლის გაზაფხულზე მ. გორკის თბილისში ჩამოყვანასთან (დაპატიმრებული ჩამოიყვანეს) დაკავშირებით ჟანდარმერია ფარული მეთვალყურეობიდან აშკარა დაკითხვაზე გადავიდა. ალექსი მაქსიმეს-ძის საქმის თაობაზე იგი როტმისტრმა კონისკიმ გამოიძახა. ამ საინტერესო შეხვედრის სცენას ასე გადმოგვცემს ალექსანდრე მეთოდეს-ძე:

„ერთხელ, — ეს 1898 წელს იყო, — ჟანდარმებმა მომაკითხეს, როტმისტრი კონისკი გიხმობსო. მასთან ბინაზე მიმიყვანეს.

— თქვენ კალიუჟნი ხართ?

— დიახ.

კონისკი გამეცნო. დაკითხვა ათიოდე წუთს გაგრძელდა, ოღონდ ჩვენებები არ ჩაუწერიათ.

— მაქსიმ გორკის იცნობთ? — პირველი კითხვა ეს იყო. დამახასიათებელია, რომ როტმისტრი „გორკის" ხმარობდა და არა „პეშკოვს".

— როგორ არ ვიცნობ! მაგრამ რაშია საქმე?

— იცით, ის პოლიტიკურ საქმეშია გარეული, — გამომცდელად განაგრძო კონისკიმ.

— ეს ჩემთვის ახალი ამბავია. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ გორკი მაღალნიჭიერი მწერალია და რუსეთი მას უნდა გაუფრთხილდეს.

ჟანდარმთა როტმისტრმა თაროდან გორკის წიგნები ჩამოიღო და დამანახვა, — ვითომდა, აი, მეც წამიკითხავსო.

ეს იყო დაკითხვა ამით დამთავრდა და როტმისტრმა თავაზიანი ღიმილით გამომაცილა კარამდე".

მრავალჭირნახულმა, თვითმპყრობელობისაგან დევნილმა პოლტაველმა უკრაინელმა თავისი მეორე სამშობლო საქართველოში პოვა, თითქმის ნახევარი საუკუნე ცხოვრობდა თბილისში და გარდაიცვალა 85 წლის ასაკში, 1938 წლის 7 ნოემბერს.

**გრ. კაკიაშვილი,**
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სწავლული მდივანი.

* * *




**1928 წელს** თბილისში სტუმრად ჩამოსული **მ. გორკი** ქალაქის მუშა-კორესპონდენტთა თათბირზე მიიწვიეს, სადაც დიდი მწერალი სიტყვით გამოვიდა. მხატვარმა ვ. კროტკოვმა ეს ჩანახატიც სწორედ მაშინ გააკეთა.

# ცეცხლთან თამაში საშიშია

## კუბის ბლოკადა ომს უდრის

**ნიუ-იორკი,** 17 სექტემბერი. (საკდესი). კუბის ბლოკადა ომის აქტია. ასეთ გაფრთხილებას აძლევს „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი რესტონი ამერიკელ კონგრესმენებს, რომლებიც კუბის ბლოკადას მოითხოვენ.

სენატორები გოლდუოტერი, ტაუერი და ტერმონდი სხვებთან ერთად თავგამოდებით მოითხოვენ ამა თუ იმ ფორმის ბლოკადას ამერიკის დანარჩენი რესპუბლიკების მხარდაჭერით, თუ ეს შესაძლებელი იქნება, და უიმათოდაც, თუ ეს საჭირო გახდა, აღნიშნავს რესტონი. ამაზე ლაპარაკობენ პოლიტიკურ კრებებზე ისე, თითქოს ბლოკადა რაღაც შეჯიბრება იყოს ამერიკის თასისათვის, სადაც ჩვენ განსაკუთრებული რისკის გაუწევლად შეგვიძლია გავსრისოთ ფიდელ კასტრო...

მაგრამ საქმე ასე უბრალო როდია, გაფრთხილებას იძლევა რესტონი და აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართალი ბლოკადას განსაზღვრავს როგორც „ომის აქტს, რომელსაც ახორციელებენ მეომარი მხარის სამხედრო ხომალდები, რომლებიც იგზავნება, რათა ჩაკეტონ მტრის ნაპირის გარკვეულ ნაწილზე მისასვლელი ან ხელი შეუშალონ გემების გამოსვლას ამ ნაპირიდან".

რესტონი კითხულობს: მზად არიან თუ არა სენატორები გოლდუოტერი, ტაუერი და ტერმონდი ოფიციალურად გამოაცხადონ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ომის მდგომარეობაში არიან კუბასთან, რაც ბლოკადის მოწყობის ერთად-ერთი გზაა? თუ ეს ასეა, მაშინ არიან თუ არა მზად გააჩერონ ჩვენი მოკავშირეების გემები ატლანტიკაში და დასავლეთ ნახევარსფეროში, თუ ეს მოკავშირენი ომის წინააღმდეგი და ბლოკადის წინააღმდეგი იქნებიან?

გარდა ამისა, რას ვიზამთ ჩვენ, თუ საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და ნორვეგიის გემებმა არ ცნეს ბლოკადა და განაგრძეს გზა ჰავანისაკენ? ამ შემთხვევაში უნდა ჩავძიროთ თუ არა ეს გემები?

მეორე მხრიდან მივუდგეთ ამ პრობლემას. შეერთებულ შტატებს გაცილებით მეტი რაკეტული ბაზა აქვთ თურქეთში საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვარზე, ვიდრე რუსებს კუბაში. თუ ჩვენ კუბის ბლოკადა მოვაწყეთ, რა შეუშლის ხელს რუსებს მოაწყონ ბლოკადა შავ ზღვაში და გააჩერონ თურქეთს მიმავალი ჩვენი იარაღით დატვირთული გემები? რა უნდა ვქნათ ასეთ შემთხვევაში? შევურიგდეთ მათს ბლოკადას თუ იარაღით გავიკაფოთ გზა?

ასეთ სიტუაციაში, განაგრძობს რესტონი, „ანს" რომ ვიტყვით, მზად უნდა ვიყოთ აგრეთვე იმისათვის, რომ ვთქვათ „ბანი" და „განი", ეს კი არ სურთ ჩვენს სენატორებს, რომლებიც მოითხოვენ, „რამე ვიღონოთო". სენატორი ტერმონდი თანამიმდევრული მაინც არის. იგი ამბობს: „რაც უფრო დიდხანს გააჭიანურებენ შეერთებული შტატები კომუნიზმის განდევნას კუბიდან, მით უფრო გაძნელდება ამოცანა". ჩანს, იგი მზად არის გასწიოს ომის რისკი, და ეს ნათელი პოლიტიკა მაინც არის. მაგრამ სიტყვების წარმოთქმა ბლოკადის შესახებ, თითქოს ეს პრობლემის იოლი გადაჭრა იყოს, უპატიოსნობაა. ბლოკადის მიზანია აიძულოს მოწინააღმდეგე კაპიტულაცია მოახდინოს, თუნდაც ეს მხოლოდ სავაჭრო ან მშვიდობიანი ბლოკადა იყოს. თუ მას ეს არ მოჰყვა, ბლოკადა მიზანს ვერ აღწევს, ხოლო თუ თავის მიზანს აღწევს, მაშინ იგი ომის აქტია.

უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტ კენედის არ გამოურიცხავს ბლოკადა როგორც შესაძლო მომავალი გზა, აცხადებს რესტონი, იგი აღიარებს, რომ საბჭოთა ახალი იარაღი აძნელებს, ხოლო შესაძლოა, სულაც გამორიცხავს კუბელ ლტოლვილთა (ასე უწოდებს რესტონი კუბელ კონტრრევოლუციონერებს, რომლებმაც თავშესაფარი პოვეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. — **რედ.**) ეფექტიან შეჭრას კუბაში. მაგრამ საქმე ასეა უკვე ეს ერთი ხანია. ძალთა თანაფარდობა ლტოლვილთა სასარგებლოდ როდი იქმნება, მაგრამ მთელი ახალი იარაღი ერთად ვერ უქმნის საფრთხეს შეერთებულ შტატებს. კუბაში რომ დაიდგას რაკეტები, რომლებიც დაარტყამენ ჩვენს ქალაქებს, მაშინ სულ ახალი სიტუაცია წარმოიშობოდა. მაგრამ, მთელი ხმების მიუხედავად, მთავრობას არ მოეპოვება რაიმე მონაცემი, რომელიც აღნიშნავდეს, რომ ეს ხდება ამ ეტაპზე.

კუბასთან სკანდალი გამოვიდა, წერს დასასრულ რესტონი, ეს სკანდალი შეიძლება საშიში აღმოჩნდეს და პრეზიდენტმა თავისი წვლილი შეიტანა ამაში. ამიტომ სავსებით კანონიერია განვიხილოთ ეს საკითხი წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში. მაგრამ იგი უნდა განვიხილოთ სერიოზულად, ისე რომ არ გავცხარდეთ. სწორედ სენატორებმა და პრესამ, რომლებიც გაიძახოდნენ, რამე უნდა ვიღონოთო, ჩაგვითრიეს ესპანეთ-ამერიკის ომში; მგონი, ერთი ასეთი ომი საკმარისია.

### იარაღის ჟღარუნი

**ვაშინგტონი,** 18 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის კონგრესში გრძელდება კუბის საწინააღმდეგო ისტერია. სენატის საგარეო საქმეთა და შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიებმა დღეს გაერთიანებულ დახურულ სხდომაზე მოიწონეს პროვოკაციული რეზოლუციის პროექტი.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, ნათქვამია რეზოლუციის პროექტში მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი „თავიდან აიცილონ ყოველი საშუალებით, რომელიც საჭირო გახდება, მათ შორის იარაღით, ის, რომ კუბის მარქსისტულ-ლენინურმა რეჟიმმა ძალის გამოყენებით ან ძალის გამოყენების დამუქრებით გაავრცელოს თავისი აგრესიული და ძირგამომთხრელი საქმიანობა ამ ნახევარსფეროს რომელიმე ნაწილზე". ამ რეზოლუციას ხვალ წარადგენენ სენატის დასამტკიცებლად.

კუბის საწინააღმდეგო რეზოლუციას დღეს ამზადებდა კიდევ წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისია. ამ რეზოლუციას, როგორც მოელიან, ხვალ შეიტანენ წარმომადგენელთა პალატის დასამტკიცებლად.

### კვლავ პროვოკაცია

**ჰავანა,** 19 სექტემბერი. (საკდესი). როგორც კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების სამინისტრო იუწყება, 17 სექტემბერს დილით ამერიკის თვითმფრინავმა დაარღვია კუბის საჰაერო სივრცე და რამდენიმე კილომეტრზე შემოვიდა კუბის ტერიტორიაზე. მეკობრე თვითმფრინავი 11 წუთს დაფრინავდა კამაგუეის პროვინციის სხვადასხვა დასახლებული პუნქტის თავზე.

## გენერალური ასამბლეის XVII სესია

**ნიუ-იორკი,** 19 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი **ვ. ბოგაჩოვი** იუწყება:

დღეს დილით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის კომიტეტებმა თავიანთ თავმჯდომარეთა არჩევნები მოაწყეს. პირველი კომიტეტის (პოლიტიკური საკითხებისა და უშიშროების საკითხების) თავმჯდომარედ არჩეულია სუდანის წარმომადგენელი ომარ ადილი; სპეციალური პოლიტიკური კომიტეტისა — ლეოპოლდ ბენიტესი (ეკვადორი); მეორე კომიტეტისა (ეკონომიურ და ფინანსთა საკითხების) — ბოგდან ლევანდოვსკი (პოლონეთი); მესამე კომიტეტისა (სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა) — ნ. კასლივალი (ინდოეთი); მეოთხე კომიტეტისა (მეურვეობის საკითხთა) — ფლორეს ავენდანიო (გვატემალა); მეხუთე კომიტეტისა (ადმინისტრაციულ და ბიუჯეტის საკითხთა) ბანირი (ჰოლანდია); მეექვსე კომიტეტისა (იურიდიული) — ქასტაფიადისი (საბერძნეთი).

დილის პლენარულ სხდომაზე გენერალურმა ასამბლეამ აირჩია XVII სესიის 13 ვიცე-თავმჯდომარე. ფარული კენჭისყრის შედეგად გენერალური ასამბლეის XVII სესიის ვიცე-თავმჯდომარეებად არჩეული არიან იორდანიის, მადაგასკარის, გვინეის, კოლუმბიის, ჰაიტის, რუმინეთის, ბელგიის, ავსტრალიის, ინგლისის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის წარმომადგენლები, აგრეთვე ჩანკაიშელი.

## პარიზ-ბონის რევანშიზმი

**პარიზი,** 19 სექტემბერი. (საკდესი). საკდესის განცხადება დე გოლის მოგზაურობის შესახებ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და საფრანგეთის მმართველი წრეებისა და ბონელ რევანშისტთა მიერ პარიზ-ბონის აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ღერძის შეკოწიწების შესახებ საფრანგეთის საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია. პარიზისა და პროვინციების ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილას დიდი სათაურებით გამოაქვეყნა ცნობა ამ განცხადების შესახებ.

რეაქციის ისეთმა რუპორებმა, როგორიც არიან „ორორი", „ფიგარო" (რომელიც, სხვათაშორის, ჰიტლერელებთან თანამშრომლობდა საფრანგეთის ოკუპაციის წლებში) და „პარი-ჟური", სასწრაფოდ გამოაცხადეს საბჭოთა მთავრობის განცხადება... პროპაგანდად და მიმართეს ანტისაბჭოთა ცილისწამების ჩვეულებრივ ხერხებს.

მაგრამ საბჭოთა კავშირის გამაფრთხილებელმა სიტყვებმა ისეთი გამოხმაურება პოვეს საფრანგეთის საზოგადოებრიობაში, რომ უკვე შეუძლებელი გახდა მათი თავიდან აცილება. საღამოს გაზეთი „ფრანს-სუარი" იძულებული იყო მოეყვანა საკდესის განცხადების ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის მმართველი წრეების პოლიტიკა მიზნად ისახავს საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავებასა და გამალებული შეიარაღების გაძლიერებას, რომ ბონისა და პარიზის მესვეურები, რომლებიც სამხედრო-პოლიტიკურ ღერძს აკოწიწებენ, კი არ ფარავენ, არამედ, პირიქით, იკვეხნიან, რომ ეს ბლოკი მიმართულია სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

დამახასიათებელია აგრეთვე, რომ გაზეთი „მონდი", რომელმაც მთლიანად გამოაქვეყნა საკდესის განცხადება, ბეჭდავს ასეთ სათაურს: „ბონისა და პარიზის სამხედრო მორიგება ცხადყოფს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ დაიდოს გერმანიის საზავო ხელშეკრულება". „მონდი" გამოჰყოფს საკდესის განცხადების მთელ რიგ ადგილებს.

უმადური ამოცანა იკისრა მემარჯვენე გაზეთმა „პარი პრეს-ენტრანსიჟანმა". იგი ცდილობს თავის მკითხველთა ყურადღება აარიდოს საბჭოთა განცხადების არსს და ამახინჯებს, ცვლის და უმალავს ფრანგებს იმას, რის მოსმენაც „არ სიამოვნებთ" „პარიზ-ბონის ღერძის" დამცველთ... „პარი პრეს-ენტრანსიჟანი" განზრახ დუმს, რომ საკდესის განცხადებაში აღნიშნულია დე გოლისა და ადენაუერის პასუხისმგებლობა გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე დაბრკოლებათა წარმოქმნისათვის.

ფრანგებს, რომლებმაც განიცადეს გერმანელ მილიტარისტთა სამი შესევა, არ სჯერათ, წერს დემოკრატიული პრესა, დასავლეთგერმანელი რევანშისტებისა, რომლებიც ახლა ცხვრის ტყავში გაეხვივნენ. საფრანგეთ-გერმანიის ნამდვილი შერიგება იარაღის მწარმოებელ მონოპოლიათა და იმ გენერალთა მორიგება როდია, რომლებმაც დაივიწყეს ისტორიის გაკვეთილები. ეს არის ორი ხალხის მეგობრობა გერმანიის პრობლემის მოწესრიგების საფუძველზე, რევანშისტული და აგრესიული ძალების ლიკვიდაციისა და დასავლეთ ევროპაში მტკიცე მშვიდობის პირობების შექმნის საფუძველზე.



— ჩვენი კავშირი შეუზღუდავია — მასში ყველასათვის არის ადგილი!
ნახატი დასავლეთ გერმანიის გაზეთ „ფრანკფურტერ ალგემაინედან".

## საბჭოთა კოსმონავტი იუგოსლავიის სტუმარი

**ბელგრადი,** 19 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვი დღეს დილით ეწვია ბორის კიდრიჩის სახელობის ატომური ფიზიკის ინსტიტუტს ვინჩში.

გმირ კოსმონავტ გერმანე ტიტოვს გულთბილად შეხვდნენ ინსტიტუტის დირექტორი მ. იუსტიჩი და თანამშრომლები. ინსტიტუტის წამყვან მეცნიერებთან საუბარში გ. ს. ტიტოვმა ამომწურავი პასუხი გასცა მათ მრავალ კითხვაზე, რომლებიც დაკავშირებულია კოსმონავტის გაფრენასთან კოსმოსში.

გერმანე ტიტოვმა ხელი მოაწერა ინსტიტუტის საპატიო სტუმართა წიგნში და დაათვალიერა ინსტიტუტის ზოგიერთი ობიექტი, მათ შორის საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენებული რეაქტორი, რომელიც 1959 წელს ჩადგა მწყობრში.

გუშინ საღამოს ბელგრადის ასტრონომიული ობსერვატორიის დათვალიერების დროს ობსერვატორიის დირექტორმა ტ. ანჯელიჩმა გ. ს. ტიტოვს გადასცა სიგელი იმის შესახებ, რომ იგი არჩეულია იუგოსლავიის ასტრონომიულ და რაკეტული საზოგადოების საპატიო წევრად.

**ბელგრადი,** 19 სექტემბერი. (საკდესი). იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ და მისმა მეუღლემ დღეს მიიღეს საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი გ. ს. ტიტოვი და მისი მეუღლე.

მეგობრულ საუბარს დაესწრო აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში ა. მ. პუზანოვი.

პრეზიდენტმა ტიტომ საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი გ. ს. ტიტოვი დააჯილდოვა „იუგოსლავიის დროშით" და ლენტით — იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი ორდენით, რომლითაც აჯილდოებენ უცხოელ მოქალაქეებს.

გ. ს. ტიტოვმა პრეზიდენტ ტიტოს უძღვნა ფილმი „კვლავ ვარსკვლავებისაკენ" და წიგნი „კოსმოსური ერის დილა".

პრეზიდენტმა ტიტომ შემდეგ სადილი გამართა საბჭოთა კოსმონავტის პატივსაცემად.

სტუმრებს შორის სადილზე იყვნენ აგრეთვე საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე ა. რანკოვიჩი და მისი მეუღლე.

სადილის დროს პრეზიდენტმა ტიტომ ადღეგრძელა საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი. მან აღნიშნა საბჭოთა ხალხის მიღწევები კოსმოსური სივრცის ათვისებაში მშვიდობიანი მიზნით და ახალი წარმატებანი უსურვა საბჭოთა კოსმონავტებს.

**ბელგრადი,** 19 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი გ. ს. ტიტოვი შეხვდა ბელგრადის უნივერსიტეტის მანქანათსაშენებელი ფაკულტეტის სტუდენტებს. გერმანე ტიტოვი საღამოს გამოვიდა ბელგრადის ტელევიზიაში.

### დაძაბული მდგომარეობა არგენტინაში

**ნიუ-იორკი** 19 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ბუენოს-აირესიდან იუწყება, არმიის სხვადასხვა დაჯგუფებათა შორის გამწვავებული მეტოქეობის შედეგად არგენტინას ახალი პოლიტიკური კრიზისი ემუქრება. არმიის საქმეთა სახელმწიფო მდივანმა ხოსე კორნეხო სარავიამ გადააყენა არმიის სამი მაღალი თანამდებობის გენერალი, რომლებიც ახლანდელი რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. გადაყენებული არიან გენერალი ხულიო ალსოგარაი — პირველი ჯავშანსატანკო დივიზიისა და არგენტინის ყველაზე დიდი გარნიზონის (კამპო-დე-მაიოში, ბუენოს-აირესის მახლობლად) სარდალი, გენერალი პასკუალ პისტარინი — ცხენოსანი კორპუსის სარდალი და გენერალი ედუარდ ლუჩესი — შტაბის უფროსის მოადგილე.

როგორც სააგენტო აღნიშნავს, გადაყენების რამდენიმე საათის შემდეგ ცხენოსანმა კორპუსმა და კამპო-დე-მაიოს სამხედრო გარნიზონმა უარი განაცხადეს დაემორჩილონ არმიის უმაღლეს სარდლობას და მოითხოვეს სასწრაფო არჩევნები. მათ მოითხოვეს, რომ პრეზიდენტმა გიდომ არჩევანი მოახდინოს არმიის მეტოქე ჯგუფებს შორის.

ჯარი მთელ არგენტინაში საბრძოლოდ არის გამზადებული.

## უსუსური ცდა

**დასავლეთი ბერლინი,** 18 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დასავლეთ ბერლინის ყველა გაზეთი აქვეყნებს ცნობას საკდესის განცხადების შესახებ, რომელშიც ერთხელ კიდევ ხაზგასმულია, რომ უსუსურია დასავლეთის სახელმწიფოთა ცდა — გამოიყენონ ბერლინის ოთხმხრივი სტატუტი, რომელიც დიდი ხანია აღარ არსებობს, რაღაც იურიდიულ საფუძვლად იმისათვის, რომ შეინარჩუნონ საოკუპაციო რეჟიმი დასავლეთ ბერლინში და იმისათვის, რომ ნატოს ქვეყნები ჩაერიონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში. მაგრამ გაზეთები ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ მკითხველები და საკდესის განცხადების შინაარსი ისეთი სახით მოჰყავთ, თითქოს საბჭოთა კავშირი დღემდე ცნობდა ოთხმხრივ სტატუტს და ახლა რაღაც „საკუთარი მოსაზრებით" აცხადებს, ეს სტატუტი აღარ არსებობსო, საკუთარი მოსაზრებით და არა იმიტომ, რომ ეს სტატუტი დიდი ხნის უკვე დაირღვა თვით დასავლეთის სახელმწიფოთა მიზეზით.

დასავლეთ ბერლინის სენატის წარმომადგენელმა გუშინ საჩქაროდ გააკეთა ნაკლებდამაჯერებელი განცხადება „ბერლინში ოთხი სახელმწიფოს შეთანხმების სამართლებრივ საფუძველთა" დასაცავად. იგი ამტკიცებდა, რომ საკდესის განცხადება „ვერ შეამცირებს საბჭოთა პასუხისმგებლობას". მაგრამ სავსებით ნათელია, რომ საბჭოთა კავშირს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს დასავლეთის სახელმწიფოთა ცალმხრივ მოქმედებასთან დასავლეთ ბერლინში და პასუხს ვერ აგებს მისი შედეგებისათვის.

### გარდაიცვალა იემენის მეფე

**ლონდონი,** 19 სექტემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო იმოწმებს იემენის რადიოს და იუწყება, რომ დღეს გარდაიცვალა იემენის მეფე იმამ აჰმედი, რომელიც 66 წლის იყო.

### იემენის ახალი მეფე

**ნიუ-იორკი,** 19 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ადენიდან იუწყება, იემენის რადიომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ მემკვიდრე პრინცი მოჰამედ ელ-ბადრი იემენის მეფედ გამოაცხადეს.




## ტელეგრაფი გვატყობინებს

**ბუქარესტი,** 18 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა რუმინეთის დედაქალაქის მშრომელთა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეგობრობის ვიზიტს.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ ვალტერ ულბრიხტს, დელეგაციის წევრებს გ. გეორგიუ-დეჟსა და რუმინეთის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებს, რომლებიც პრეზიდიუმში გამოჩნდნენ.

გ. გეორგიუ-დეჟმა და ვალტერ ულბრიხტმა სიტყვები წარმოთქვეს.

□ **ლონდონი,** 20 სექტემბერი. (საკდესი). მთავრობის მიერ დასახული რკინიგზის ტრანსპორტის ეგრეთწოდებული „რეორგანიზაციის" გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მთელი რიგი რკინიგზის სახელოსნოების დახურვას და დაახლოებით 20 ათასი მუშის დათხოვნას, უკვე ხორციელდება. მიღებულია ცნობები, რომ გორტონში (ლანკაშირი) სამუშაოდან დაითხოვეს უდიდესი რკინიგზის სახელოსნოების 1648 მუშა.

**ლონდონი,** 19 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ მუშაობა დაამთავრა ერთა თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრთა კონფერენციამ, რომელიც 10 სექტემბერს დაიწყო. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ერთა თანამეგობრობის 15 ქვეყნის პრემიერ-მინისტრები ან მინისტრები, აგრეთვე ინგლისის მთელ რიგ კოლონიურ სამფლობელოთა წარმომადგენლები. კონფერენციის მუშაობის მთავარი თემა იყო „საერთო ბაზარში" ინგლისის შესვლის საკითხი, რომლის განხილვაც მიმდინარეობდა ინგლისსა და ერთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნების უმრავლესობის სერიოზული უთანხმოების ვითარებაში.

### ამერიკის ჯარები დასავლეთ ბერლინში

**ბონი,** 19 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის სარდლობამ კვლავ დემონსტრაციულად გადაიყვანა ამერიკის ჯარები დასავლეთ გერმანიის დასავლეთ ბერლინში, რისთვისაც გამოიყენა ავტოსტრადა, რომელიც გადის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. როგორც დპა-ს სააგენტო იუწყება, დღეს დილით ამერიკის 1-ლი ქვეითი დივიზიის მე-2 საბრძოლო ჯგუფის ორმა ავტოკოლონამ (ეს დივიზია დღემდე განლაგებული იყო ვილდფლეკენის ბაზაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში) გაიარა ავტოსტრადით დასავლეთ ბერლინისაკენ სასაზღვრო საკონტროლო პუნქტის ჰელმშტედტის გავლით. ამ ნაწილებმა უნდა შეცვალონ მე-4 ქვეითი დივიზიის 1-ლი საბრძოლო ჯგუფი, რომელიც დასავლეთ ბერლინში იმყოფება მიმდინარე წლის ივნისიდან.

## გულახდილი აღიარება

**დასავლეთი ბერლინი,** 19 სექტემბერი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინის შინაგან საქმეთა საკითხების სენატორმა გ. ალბერტცმა აღიარა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარზე საშიშ პროვოკაციებს უშუალოდ აწყობს „საფრონტო ქალაქის" სენატი.

ალბერტცმა პირდაპირ განაცხადა, რომ სენატი ფაქტიურად ხელს უწყობს იმას, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მოეწყოს „გაქცევა" დასავლეთ ბერლინში და, რომ ამისათვის უკანასკნელ ხანს გამოიყენეს გვირაბი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარზე. ეს გვირაბი გადის დასავლეთ ბერლინის საფრანგეთის სექტორის ტერიტორიაზე. როგორც ალბერტცმა აღნიშნა, ამ გვირაბს დიდხანს ამზადებდნენ და დასავლეთ ბერლინის ხელისუფლებაც საქმის კურსში იყვნენ. ალბერტცმა გადაწყვიტა ყოველივე ეს განეცხადებინა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გვირაბი უვარგისი გახდა და მისი გამოყენება აღარ შეიძლებოდა „გაქცევის" მოსაწყობად.

## დიქტატურის დამყარების გზით

**პარიზი,** 20 სექტემბერი. (საკდესი). გუშინდელ სხდომაზე საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ მიიღო ძირითადად პროექტი კანონისა, რომლის შესაბამისად საფრანგეთში მოეწყობა რეფერენდუმი საყოველთაო კენჭისყრის გზით რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის საკითხზე.

ამით მთავრობამ მოიწონა გენერალ დე გოლის განზრახვა — განახორციელოს ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის რეფორმა, რომლის შესაბამისად პრეზიდენტს აირჩევს ამრჩევთა სპეციალური კოლეგია, რომელშიც შევლენ პარლამენტის წევრები და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების წევრები.

კონსტიტუციის რეფორმა, პრეზიდენტ დე გოლს რომ განუზრახავს, მიზნად ისახავს იმას, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს მისი პირადი ხელისუფლება და გაძლიერდეს საფრანგეთის ახლანდელი პოლიტიკური რეჟიმის ავტორიტარული ხასიათი. ამ განზრახვის განხორციელების შემთხვევაში პრეზიდენტი ფაქტიურად იქნება საფრანგეთის ბედ-იღბლის ერთპიროვნული გამგებელი. გამოიყენებს რა პარლამენტის დათხოვნის უფლებას, მოჩვენებითი საყოველთაო სახალხო მოწონების საფარით, იგი ფაქტიურად დადგება საკანონმდებლო ხელისუფლებაზე მაღლა და ამავე დროს შეინარჩუნებს აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა პრეროგატივას. პარლამენტს ისღა დარჩება, რომ დასჯერდეს რეგისტრაციის ფუნქციებს.

საფრანგეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობა მკვეთრად აკრიტიკებს დე გოლის გეგმას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელი ძალაუფლების ჩაგდება ერთი ადამიანის ხელში შესაძლებლობას ქმნის ბონაპარტისტული ტიპის ყოველი ჯურის ავანტიურებისათვის და საფრთხეში აგდებს საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს. კონსტიტუციის დეგოლისეული რეფორმა აქ მიაჩნიათ ეტაპად მონოპოლისტური კაპიტალის აშკარა დიქტატურის დამყარების გზაზე. ყველა ნამდვილი დემოკრატია და რესპუბლიკელის ერთობასა და შეკავშირებულ ბრძოლას შეუძლია დაამარცხოს დე გოლის გეგმები. საერთო საშიშროების წინაშე სწორედ ასეთი შეკავშირებისათვის მოუწოდებს საფრანგეთის კომუნისტური პარტია.

## ჩხუბი პარლამენტში

**სტამბოლი,** 19 სექტემბერი. (საკდესი). იმის ცდამ, რომ პენსიით უზრუნველეყოთ მენდერესის რეჟიმის დაპატიმრებული მოღვაწეები, ჩხუბი გამოიწვია თურქეთის მეჯლისში. წინადადება, რომ პენსიათა კანონი გავრცელებინათ მენდერესის მომხრეებზე, რომლებიც საპყრობილეში არიან, შეიტანა „ახალი თურქეთის პარტიის" წევრმა იუნალდიმ. ამ პარტიის, ისევე როგორც „სამართლიანობის პარტიის" რიგებში, თავშესაფარი პოვა მენდერესის დემოკრატიული პარტიის ბევრმა ყოფილმა წევრმა და ვომხრემ, ეს პარტია აიკრძალა 1960 წელს.

იუნალდის წინადადების წინააღმდეგ წავიდნენ სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები და მეჯლისის უპარტიო წევრები. ამ წინადადების განხილვის დროს გაისმოდა შეძახილები: „არავის მივცემთ ნებას, რომ ეროვნული სიმდიდრე სამშობლოს მოღალატეების, ქურდებისა და ყალთაბანდების შესანახავად ხარჯოს! ხალხს ფული იმისთვის არა აქვს, რომ იკვებოს. იგი მშიერი და ფეხშიშველია".

დისკუსია მეჯლისის წევრთა აშკარა ჩხუბად გადაიქცა.

### გეიტსკელის განცხადება

**ლონდონი,** 19 სექტემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ლეიბორისტული პარტიის ლიდერის გეიტსკელის განცხადება ერთა თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრთა დღეს დამთავრებული კონფერენციის კომუნიკეს გამო. განცხადებაში ნათქვამია:

„კომუნიკე ადასტურებს, რომ ერთა თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრებს მიაჩნიათ, რომ თუ ინგლისი შევიდა „საერთო ბაზარში" უკვე შეთანხმებული პირობების საფუძველზე, ეს ქვეყნები და ერთა თანამეგობრობა მთლიანად მნიშვნელოვნად დაზარალდებიან.

რამდენადაც ინგლისის მთავრობას დადებული აქვს პირობა, რომ ინგლისი ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შევა, თუ მთლიანად იქნება გარანტირებული ერთა თანამეგობრობის ინტერესები, ინგლისმა ან უკეთეს პირობებს უნდა მიაღწიოს, ან უარი თქვას „საერთო ბაზარში" შესვლაზე.

## ახალი ამბები

# პირველად ბათუმში

### ინტერვიუ გემბანზე

ამ დღეებში ბათუმელთა ყურადღება მიიპყრო ზღვის ფონზე თეთრად მოქათქათე უზარმაზარმა ტანკერმა, რომელმაც პირველად ჩაუშვა ღუზა ბათუმის საზღვაო ნავსადგურში.

ავდივართ „ჯუზეპე გარიბალდის" გემბანზე.

— ტანკერი „ჯუზეპე გარიბალდი" ქალაქ გენუაში (იტალია) ფირმა „ანსალდომ" ააგო. ამიტომ იგი იტალიელი ხალხის გმირის სახელს ატარებს, — გვითხრა ტანკერის კაპიტანმა ივანე ბებელმა.

ტანკერი ახლახან დაბრუნდა კუბიდან, სადაც ნავთობპროდუქტები ჩაიტანა.

— კუბელმა მეგობრებმა გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს ქალაქ ჰავანაში, — ამბობს „ჯუზეპე გარიბალდის" შტურმანი ალბერტ მანუკიანი. ალბერტი ბათუმის მკვიდრია, აქვე დაამთავრებს საზღვაოსნო სასწავლებელი და ახლა ტანკერის სახელოვანი კოლექტივის წევრია. შტურმანმა თავისი აღშფოთება გამოთქვა ამერიკელი მეკობრეების მიმართ, რომლებიც ემუქრებიან გმირ კუბელ ხალხს.

— კუბას ზარბაზნის ლულებს უმიზნებენ გულში, მაგრამ აგრესორები ვერ ნახავენ კუბას დაჩოქილს.

18 სექტემბერს ეკიპაჟმა ბათუმში იზეიმა ტანკერის წყალში ჩაშვების წლისთავი.

**რ. გორგაძე.**

* * *



სურათზე: ტანკერი „ჯუზეპე გარიბალდი" ბათუმის ნავსადგურში.

ფოტო ვ. გრიცენკოსი.

# „ზღვის ბილიკი"

### ახალი მხატვრული კინოფილმი

სექტემბრის ბოლო რიცხვებში მაყურებელი ნახავს ახალ ქართულ ფართოეკრანიან მხატვრულ ფერად ფილმს „ზღვის ბილიკს", რომლის სცენარი ეკუთვნით ახალგაზრდა კინოდრამატურგებს ანზორ სალუქვაძესა და რევაზ ჭეიშვილს. სცენარის შესაქმნელად მათ გამოიყენეს ახალგაზრდა მწერლის ი. ყაჭეიშვილის მოთხრობის „ზღვის ლომის" მოტივები.

ფილმი „ზღვის ბილიკი" დადგა და ამჟამად მის საბოლოო მონტაჟზე მუშაობს კინორეჟისორი რევაზ ჩხეიძე. მუსიკა ფილმისათვის დაწერა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა სულხან ცინცაძემ, მხატვრობა ეკუთვნით ა. ვერულეიშვილსა და დ. ერისთავს, ოპერატორია ფილიქს ვისოცკი, ხმოვანება რ. კეზელისა.

ფილმი მოგვითხრობს ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემებზე მხატვრული სახეების ენით.

მთავარ გმირს, მოხუც მეზღვაურს ახასიერებს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი სერგო ზაქარიაძე.

ფილმში მონაწილეობენ საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის აღზრდილები, ახალგაზრდა მსახიობები რ. ფარემუზაშვილი, მ. თავაძე, ნ. ფირანაშვილი, მსახიობები ირ. ქოქრაშვილი, სპორტის ოსტატები მზია ნინოშვილი და ნელი სალაძე, წყალბურთელები მალხაზ კაპანაძე და რეზო ჯანაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები კალანდაძე, მაიოროვი და სხვ.

**თ. სვანი.**

* * *



სურათზე: ს. ზაქარიაძე მოხუცი მეზღვაურის როლში. კადრი ფილმიდან „ზღვის ბილიკი".

# არქეოლოგიური ნაპოვნები

ძველი ქართველი მემატიანეები და ისტორიკოსები კასპს იხსენიებენ როგორც უძველეს ქალაქს. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი, შეიძლება ითქვას, სრულიად შეუსწავლელია. კასპის ტერიტორიაზე მატერიალური კულტურის ძეგლები სხვადასხვა დროს შემთხვევით არის ნაპოვნი. ისინი ინახება საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში. სპეციალური ექსპედიციები არქეოლოგებისა აქ არ მოეწყობილა.

და აი ამ ხარვეზის შევსებას ხელი მოჰკიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა, კერძოდ კი მისმა არქეოლოგიურმა განყოფილებამ, რომელიც დაინტერესებულია კასპის ისტორიის შესწავლით, არქეოლოგიური ძეგლების გამოვლინებითა და დამუშავებით. ამ ზაფხულს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ა. კალანდაძე, რაზმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მ. ბარამიძე) დაიწყო არქეოლოგიური გათხრები. მუშაობის დროს გამოვლინდა მრავალი საყურადღებო ძეგლი, რომლებიც განვითარებულ ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანას განეკუთვნება (XIII-VIII საუკუნეები ჩვენს წელთაღრიცხვამდე). სულ გათხრილ იქნა 14 სამარხი, რომლებიც ორი ტიპისაა: ქვაყრილიანი და უქვაყრილო ორმო — სამარხები. სამარხებში მიცვალებულები დასვენებულია მარჯვენა (მამაკაცები) ან მარცხენა (ქალები) გვერდზე, ფეხები მოხრილი აქვთ. ჩვეულებრივ ორიენტირებული არიან ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, იშვიათად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.

სამარხეული ინვენტარი ძალიან საინტერესოა. აქ ვხვდებით ბრინჯაოსა და რკინის სატევრებს, შუბის პირებს, სამკაულის საგნებს, მძივებს, განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია კერამიკა, რომელშიც გამოირჩევა რამდენიმე ტიპი: დოქები, ხელადები, დერგები, სადღვებლები, სასმისები, ლანგარები და სხვ. დიდი უმრავლესობა შესანიშნავად არის შემკული. კერამიკა ჩარხზეა დამზადებული. თიხის ჭურჭლის ამგვარი მრავალფეროვნება და შესრულების მაღალი ოსტატობა იმდროინდელ მეთუნეთა მაღალ ოსტატობაზე მიგვითითებს.

მოპოვებული მასალა ახლო ანალოგიას პოულობს სამთავროს, დვანის, თრიალეთის, მეტეხის, თელათგორის, აღაიანისა და სხვა ძეგლებთან. აღნიშნული მასალის წინასწარი განხილვა გვიჩვენებს, რომ უკვე გვიანი ბრინჯაოს ხანაში კასპის ტერიტორიაზე საკმაოდ მჭიდრო დასახლება ყოფილა აღმოსავლურ-ქართული კულტურის მატარებელი ტომებით. მათ აგრეთვე მეტად მჭიდრო ურთიერთობა ჰქონიათ დასავლეთ და სხვა მეზობელ ტომებთან.

**გ. ხორგუაშვილი,**
კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.



კურორტი წყალტუბო. თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმის ხედი.

ფოტო გ. ათაბეგოვისა.

## ვინ მოიგო „ვოლგა" და „მოსკვიჩი"?

მახარაძე, 20 სექტემბერი. (საკ. კორ.). დღეს აქ გაიმართა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის 1962 წლის მესამე გამოშვების მოგებათა ტირაჟი.

მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა" მოიგეს „იღბლიანმა" ბილეთებმა: სერია 13392 № 162, სერია 11930 № 040.

„მოსკვიჩის" მარკის მანქანები მოიგეს მათ, ვინც ფლობს შემდეგ ბილეთებს: სერია 11014 № 229, სერია 10931 № 215, სერია 11010 № 161, სერია 12505 № 241, სერია 13293 № 208, სერია 10521 № 179, სერია 11411 № 185, სერია 10988 № 019.

სულ გათამაშდა ოთხი „ვოლგა" და 16 „მოსკვიჩი", 24 პიანინო, მაცივარი, გარნიტური და სხვა ძვირფასი ნივთი.

## სტუდენტთა ახალი საცხოვრებელი სახლი

ცხინვალი. (საკ. კორ.). აქ მწყობრში ჩადგა პედაგოგიური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელი, რომელიც 300 სტუდენტს იტევს. ოთხსართულიან შენობას აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით, სასადილო და მთელი რიგი დამხმარე ოთახები. ამ შენობის საექსპლოატაციოდ გადაცემით პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა კარგი საჩუქარი მიიღეს.

## კოლმეურნეთა ჯანმრთელობის კერა

დღითიდღე უმჯობესდება მშრომელთა ჯანმრთელობის საქმე ონის რაიონში. ამას წინათ სოფ. უწერაში ხუთსაწოლიან საავადმყოფოს მიემატა კიდევ ხუთი საწოლი. ახლა ათსაწოლიანი საავადმყოფო მთლიანად აკმაყოფილებს უწერის მშრომელთა მოთხოვნილებას. საავადმყოფოს მედპერსონალს მიემატა კიდევ საშუალო განათლების მქონე ოთხი მუშაკი. მთავარი ექიმის გურამ მაჩაიძის ხელმძღვანელობით სოფელ უწერის მედიცინის მუშაკები მშრომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგანან.

სოფელში ამჟამად აშენდა ორბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც განკუთვნილია სოფლის ამაგდარი ექიმებისათვის.

**დ. ხახიაშვილი.**

# სიახლე მეცნიერებაში

## ორგულიანი ძაღლი სამი თვეა ცოცხლობს

მოსკოვი, 19 სექტემბერი. (საკდესი). 92 დღეა ცოცხლობს ძაღლი „გრიშკა", რომელსაც ორი გული აქვს. მეორე გული ფილტვებთან ერთად ძაღლს ჩაურგა ცნობილმა საბჭოთა ექსპერიმენტატორმა, სკლიფოსოვსკის სახელობის სასწრაფო დახმარების ინსტიტუტთან არსებული ორგანოთა გადარგვის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა ვ. პ. დემიხოვმა.

ოპერაციაში, რომელიც 20 ივნისს განხორციელდა, ასისტენტად მონაწილეობდა კოლუმბიის უნივერსიტეტის (ამერიკის შეერთებული შტატები) ექიმი ჯეინ გენლეი.

დემიხოვმა, რომელმაც გულისა და ფილტვების გადარგვის ოცდაათზე მეტი სქემა შეიმუშავა, ამჯერად გამოიყენა ერთ-ერთი უახლესი ხერხი: მან გადარგული გულის არტერია და ვენა შეაერთა „გრიშკას" სისხლძარღვებთან. ოპერაციისათვის გამოიყენეს პატარა უჯიშო ძაღლის გული და ფილტვები. თვითონ „გრიშკა" დიდი ლამაზი ძაღლია, მართალია, არც თუ საუკეთესო ჯიშისა: ნაგაზის ამაყ თავსა და ბრწყინვალე ტანს აშკარად აუშნოებს თეთრი თათები და კუდი.

გულმკერდში მეორე გული და ფილტვები რომ მოეთავსებინათ, „გრიშკას" დაუტოვეს საკუთარი მარცხენა ფილტვის მხოლოდ ერთი, ქვემო ნაწილი. განთავისუფლებული ადგილი ახალმა გულმა და ფილტვებმა დაიკავა.

ოპერაციას არავითარი გართულება არ მოჰყოლია. „გრიშკას" ახალი სისხლის მიმოქცევა მყისვე დაეწყო მას შემდეგ, რაც ძარღვები გაუკერეს და მოსაჭერები მოაშორეს. გულებს შორის დამყარდა ერთგვარი „შრომის განაწილება". ახალი გული სისხლით ამარაგებს მარცხენა წინა თათის და კისრისა და თავის მარცხენა მხარეს, შემდეგ სისხლის მიმოქცევა საერთო ხდება. მარცხენა თათზე პულსი შეიგრძნობა გადარგული გულისაგან, მარჯვენაზე კი — ძაღლის საკუთარი გულისაგან.

„გრიშკა" ძალიან ჯანსაღად გამოიყურება და უფრო გასუქებულიც კია, ვიდრე ოპერაციამდე. იგი მხნე და ხალისიანია. დილით, როცა ინსტიტუტის პარკში ასეირნებენ, ძაღლი გზაზე არ უშვებს არც კატას, არც ბუზებს. ექიმების აზრით, ძაღლის ჯანმრთელობა სრულიადაც არ იწვევს შეშფოთებას. კიდევ თუ რამდენ ხანს იცოცხლებს იგი, მომავალი გვიჩვენებს.

ყოველ დღე აღებული ელექტროკარდიოგრამები მოწმობენ, რომ ორივე გული ნორმალურად მუშაობს. აღნიშნულია, რომ გადარგული გული რიტმულად იკუმშება. რბენის შემდეგ იგი აჩქარებს რიტმს, შემდეგ კი უბრუნდება წინანდელ მდგომარეობას უფრო სწრაფადაც კი, ვიდრე საცდელი ძაღლის საკუთარი გული.

„გრიშკამ" ნამდვილად საქვეყნოდ გაითქვა სახელი. მას „იცნობენ" მრავალი ქვეყნის მეცნიერი მედიკები. კერძოდ, იგი უჩვენეს მიმდინარე წლის ივლისში მოსკოვში გამართულ ონკოლოგთა საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებს.

კურიოზებიც ხდება: საცდელი ძაღლის სახელზე ფოსტა მოდის. სამხრეთ ამერიკიდან მიღებულ ერთ წერილზე მისამართი ასე აწერია: „მოსკოვი. სკლიფოსოვსკის სახელობის ინსტიტუტი. პროფესორ გრიგოლ დემიხოვს".

— ჩვენი „გრიშკას" სიცოცხლის დიდი ხანგრძლივობა, — თქვა ვ. პ. დემიხოვმა, — უკვე არ განეკუთვნება შემთხვევითობას. ეს მრავალი წლის შრომის შედეგია. დღეს ჩვენ მოწმენი ვართ თავისებური რეკორდისა: „გრიშკამ" უკვე 92 დღე იცოცხლა ორი გულით.

## გმირობა და კეთილშობილება

ვინიცა, 19 სექტემბერი. (საკდესის კორ.). № 425 ხამშენებლო სამმართველოს 19 წლის მემონტაჟე ლუბა რეზრენიუკი სამუშაოდან ბრუნდებოდა. ქუჩაზე გადასვლის დროს 5-6 მეტრის დაშორებით დაინახა ავტომანქანა „პობედა", რომელიც მისკენ მოქროდა. ქალიშვილი დაიბნა, ადგილიდან ვერ დაიძრა.

ამ დროს იქვე მიდიოდნენ არაბი ჭაბუკები იბრაჰიმ ასად ალა ალფელი და ნური ათა ალა კხაზალი. ეს ჭაბუკები ვინიცის სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტები არიან. ნური ათა ალა კხაზალი ფიცხლავ მიეშველა ქალიშვილს, ხელში აიტაცა გაოგნებული ლუბა, ახტა ქალიშვილიანად დამუხრუჭებული ავტომობილის კაპოტზე.

სტუდენტმა მედიკებმა თავიანთ კრებაზე განიხილეს ნურის გაბედული მოქმედება.

ვლადივოსტოკი, 19 სექტემბერი. (საკდესის კორ.). ვეშაპსანადირო გემმა „რასტოროპნიმ" წყნარ ოკეანეში 18 სექტემბერს ღამით იაპონიის თევზსაჭერი სანდალიდან მიიღო უბედურების ნიშანი. გემმა კურსი დაუყოვნებლივ შეცვალა და გაემართა დასახმარებლად.

როდესაც მიუახლოვდნენ ამ გემს, საბჭოთა ვეშაპმონადირეებმა ხშირ ნისლში დაინახეს ადამიანები, რომლებიც ბამბუკის ანკესებისა და მინის ბურთებისაგან სასწრაფოდ შეკრული ტივებით ცურავდნენ. იაპონელი მეთევზეები, რომლებმაც ავარია განიცადეს, გემბანზე აიყვანეს, შემდეგ საბჭოთა მეზღვაურებმა დაიწყეს მაშველი სამუშაოები თვით გემზე. აამუშავეს ყველა წყალსაქცევი საშუალება. მთელ ღამეს გრძელდებოდა გემის გადარჩენისათვის ბრძოლა. მთლიანად ამოაშრეს სამანქანო განყოფილება, ხოლო სანახევროდ — პირველი და მეორე ტრიუმი. დილით მოვიდა იაპონიის სამხედრო გემი და გადარჩენილი მეთევზეები გადასცეს მათ.

## ახალი სასკოლო ნათურები

რიგა, 19 სექტემბერი. (საკდესის კორ.). რიგის ელექტრონათურების ქარხანამ დაიწყო საინტერესო შეკვეთის შესრულება. საწარმო ამზადებს 50 ათას სპეციალურ ელექტრონათურას სკოლებისათვის. ეს ნათურები მთელი რიგი უპირატესობებით გამოირჩევიან. ნათურებს შიგნით დიფუზური თეთრი ამრეკლავია. გარდა ამისა კოლბის მინის ბალონს აქვს მწვანე საფარველი. ასეთი ნათურები თანაბრად, უჩრდილოდ ანათებენ სასწავლო ოთახის მთელ ფართობს. ამგვარი ტიპის ელექტრონათურებს, რომელთაც კოლბის ორმაგი საფარველი აქვთ, პირველად უშვებენ. ნათურებს მიიღებენ ლენინგრადის, ლატვიის, ბელორუსიის, უკრაინის, სომხეთისა და სხვა რესპუბლიკების სკოლები.

# დაძაბული ბრძოლა

### მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

მოსკოვი. 20 სექტემბერი. (ტელეფონით) მე მატჩის ორივე პარტია ვნახე და უნდა გითხრათ, რომ მეორე უფრო საინტერესო გამოდგა. როგორც ყოველთვის, ნ. გაფრინდაშვილმა თამაში დაიწყო მეფის პაიკით. მსოფლიო ჩემპიონმა აირჩია სიცილიური დაცვის ერთ-ერთი ურთულესი ვარიანტი კუს ფლანგზე განვითარებით.

თავისი მეექვსე სვლით ქართველმა მოჭადრაკემ მკვეთრად აუარა გვერდი თეორიულ გაგრძელებებს. მართალია, ამით შავების ცენტრი გაძლიერდა, მაგრამ გაფრინდაშვილმა გაამწვავა ბრძოლა, რაც მხოლოდ და მხოლოდ მისთვის არის ხელსაყრელი.

დებიუტის შედეგად ნ. გაფრინდაშვილმა უკეთესი პოზიცია მიიღო. უნდა ითქვას, რომ ამ მომენტიდან ე. ბიკოვა საუცხოოდ თამაშობდა. ძლიერი სვლების სერიით შავებმა ფაქტიურად გაათანაბრეს თამაში კიდეც, მაგრამ ამაზე ბევრი ფიქრისა და დროის დახარჯვის გამო მსოფლიო ჩემპიონი მძიმე ცაიტნოტში აღმოჩნდა.

21-ე სვლაზე ნ. გაფრინდაშვილმა მეტად თავისებური გადაწყვეტილება მიიღო, რომელმაც დასაწყისში გააოცა ყველა. მან გაცვალა ლაზიერები და პაიკიც კი დათმო, რაც, თითქოს, მას მოგების შანსებს არ უტოვებდა.

### პარტია კვლავ გადაიდო

მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა მისი ჩანაფიქრი სწორი იყო. თეთრების ფიგურები გადაყვანილ იქნენ მეტად აქტიურ უჯრედებზე, ეს კი მთლიანად ანაზღაურებდა მცირე მატერიალურ დანაკლისს. ე. ბიკოვა ერთხანს მეტად ზუსტად თამაშობდა, თუმცა მძლავრ ცაიტნოტში ბოლომდე ველარ გაართვა თავი. შავების 30-ე სვლამ ნ. გაფრინდაშვილს საშუალება მისცა განეხორციელებინა ეფექტური იერიში. პარტიის დასასრული ქართველმა მოჭადრაკემ დიდი ოსტატობით ჩაატარა და შავების მეფე უძლიერესი იერიშის ქვეშ მოექცა.

მსოფლიო ჩემპიონმა მოასწრო საკონტროლო სვლის გაკეთება. 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო, როდესაც შავების მეფეს ქიში აქვს გამოცხადებული. შავები ფიგურას კარგავენ და მათი პოზიცია აბსოლუტურად უიმედოა.

ე. ბიკოვამ ჩასწერა თავისი სვლა. აი გადადებული პარტიის პოზიცია.

თეთრები. თეთრებით თამაშობს ნ. გაფრინდაშვილი. მფ d2, ე a7, ე c6, კ a6, პ-ბი: a3, c2, f2, g2, h2.

შავები. შავებით თამაშობს ე. ბიკოვა. მფ b4, ე b8, ე h8, კ f5, პ-ბი: d5, f4, g4, h6. ამ მდგომარეობაში ე. ბიკოვამ ჩასწერა თავისი მე-41 სვლა.

**ლ. არონინი,**
საერთაშორისო ოსტატი.



# „ერების ტურნირზე"

ბულგარეთის კურორტ ვარნაში გათამაშდა მესამე ტურის შეხვედრები. საბჭოთა გუნდმა მესამე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მათ დაამარცხეს თურქეთის გუნდი ანგარიშით 4:0 და ლიდერობენ მე-15 საჭადრაკო ოლიმპიადის პირველ ჯგუფში. საბჭოთა მოჭადრაკეებს 10 ქულა აქვთ.

მეორე ჯგუფში ლიდერობენ ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეები. ჩეხოსლოვაკიელი მოჭადრაკეები სათავეში უდგანან მესამე ჯგუფს. მეოთხე ჯგუფის გუნდებს შორის წინ არიან უნგრელი მოჭადრაკეები.

შეჯიბრების მეოთხე დღეს საბჭოთა გუნდი შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს. ჩვენმა მოჭადრაკეებმა კვლავ წარმატებას მიაღწიეს. თავის დაფებზე გამარჯვება მოიპოვეს: მ. ბოტვინიკმა, ბ. სპასკიმ და მ. ტალმა. ერთი პარტია გადაიდო.

## სპორტული ქრონიკა

□ **ევროპის** სტადიონებზე შედგა ამხანაგური შეხვედრები ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის ფეხბურთში.

ლაიპციგში იუგოსლავიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები კოლექტივების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

ნორვეგიის ნაკრებმა თავის მოედანზე დაამარცხა შვეციის ნაკრები — 2:1.

□ **პრაღაში** დამთავრდა მოძმე არმიების III ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშეები. გუნდური პირველი ადგილი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს. აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ვ. კარდემელიდი (სსრ კავშირი).

□ **ხვალ** საფრანგეთის ქალაქ მიულუზში დაიწყება ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა შორის. ჩემპიონატში მონაწილეობენ ბელგიის, ბულგარეთის, უნგრეთის, საფრანგეთის, იტალიის, პოლონეთის, იუგოსლავიისა და ევროპის სხვა ქვეყნების გუნდები. ევროპის ხუთგზის ჩემპიონი, საბჭოთა ეროვნული ნაკრები, გუშინ საფრანგეთს გაფრინდა.

## კომუნისტი სპორტი

### ტურნირის ლიდერები

ბალტიისპირეთისა და საქართველოს მოჭადრაკეთა ტრადიციულ ტურნირზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ლომაიამ მოუგო კამპენუსს, ნეიმ დაამარცხა ბარშაუსკასი. კამპენუსმა მეორე გადადებულ პარტიაში ეტრუკთან უკეთეს მდგომარეობაში შეცდომა დაუშვა, დაკარგა ფიგურა და დამარცხდა.

მიკოვი და ჩესნაუსკასი თამაშის განუახლებლად შეთანხმდნენ ყაიმზე. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე არულაიდ-ჯინჯიხაშვილის პარტია. მიკოვი, რომელსაც ეტლების ენდშპილში ზედმეტი პაიკი ჰქონდა ვისტანეცკის წინააღმდეგ, ბევრს ეცადა პარტია გამარჯვებამდე მიეყვანა, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. 8 საათის ბრძოლის შემდეგ აქაც ფიქსირებულ იქნა ყაიმი.

საინტერესოდ ვითარდებოდა ბრძოლა მეხუთე ტურის გამოტოვებულ პარტიაში ბლაგიძესა და კლოვანს შორის. დაძაბული ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო რთულ მდგომარეობაში. ჯინჯიხაშვილმა ვერ გამოიყენა მის განკარგულებაში მყოფი ზოგიერთი შესაძლებლობა ბუსლაევის წინააღმდეგ და ყაიმით დაკმაყოფილდა.

დღეისათვის ტურნირის ლიდერები შვიდნახევარ-შვიდნახევარი ქულით არიან ბუსლაევი და ნეი, შვიდი ქულა აქვს ეტრუკს.

გუნდური მდგომარეობა ასეთია: საქართველო — 21 ქულა და ორი გადადებული პარტია, ესტონეთი — 20 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ლიტვა — 18 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ლატვია — 17 ქულა და ორი გადადებული პარტია.

**ა. ფალავანდიშვილი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

### ალექსანდრე კურინოვი მსოფლიო ჩემპიონია

ბუდაპეშტი, 20 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებული, ყაზანელი ინჟინერი ალექსანდრე კურინოვი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი გახდა ქვესაშუალო წონის შტანგისტთა შორის. სამჭიდში მან მოაგროვა 422,5 კილოგრამი (130, 130 და 162,5). მეორე იყო უნგრელი სპორტსმენი მიხაი ხუსკა — 415 კილოგრამი და მესამე — მოჰამედ თეჰერამი (ირანი) — 412,5 კილოგრამი.

## ქვეითად ქვეყანა შემოიარეს

72 წლის პენსიონერი ბოლესლავ ძერჟინსკი მშობლიურ მხარეში მოგზაურობას უთმობს მთელ თავის დროს.

კიევის ლენინის სახელობის ქარხანა „არსენალის" ყოფილმა ზეინკალმა უკანასკნელ წლებში ჩაატარა 4 დიდი მოგზაურობა, ქვეითად გაიარა 5 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი. იყო მოსკოვში, ლენინგრადში, ეწვია ბელორუსიას, ჩავიდა ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკაში. იმიერკარპატებში კი ბოლესლავ ალექსანდრეს-ძე ავიდა მთა გავერლუზე.

ამჟამად პენსიონერთან ლეონიდ პეტრეს-ძე კროპივნიცკთან ერთად მეხუთე ტურისტულ ლაშქრობას აწყობს მოლდავეთში. მეგობრები გაივლიან ქვეითად 1.000 კილომეტრს.

მომავალ ლაშქრობას ისინი მოაწყობენ შუა აზიაში, ტარას შევჩენკოს გადასახლების ადგილებში.

საგენტო „ახალი ამბები".

## წყალბურთელთა ასპარეზობა

თბილისის ფიზკულტურის პარკის საცურაო აუზში გრძელდება საქართველოს პირველობა წყალბურთში. შეჯიბრების მესამე დღეს გაიმართა პირველობის ძირითადი პრეტენდენტების თბილისის გუნდების „ბურევესტნიკისა" და „განთიადის" შეხვედრა. ბრძოლა საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს. მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

თბილისის „დინამოს" II გუნდმა მოუგო სოხუმელ თანაკლუბელებს — 2:1, ბათუმის „განთიადის" წყალბურთელებმა ანგარიშით 7:0 დაამარცხეს ქუთაისის „განთიადის" წყალბურთელები.

მეოთხე ტურის შეხვედრების შედეგები შემდეგია: „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) — 7:0, „დინამო" (სოხუმი) — „განთიადი" (ქუთაისი) — 6:0, „დინამო" — II (თბილისი) — „განთიადი" — (თბილისი) — 4:3.

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### რადიო

22 სექტემბერი

პირველი პროგრამით

07.35 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.30 — მუსიკა საბჭოთა კინოფილმებიდან, 09.20 — ქართული საბალეტო მუსიკა, 11.00 — „ეკონომიური რადიოკონფერენცია", 11.15 — კონცერტი. პროგრამაშია შუმანისა და შუბერტის ნაწარმოებები, 12.15 — ქართული საცეკვაოები, 12.45 — პიესები საესტრადო ორკესტრისათვის, 13.40 — აფხაზური სიმღერები, 17.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ზარმაცი", 18.05 — საესტრადო კონცერტი, 18.45 — სიმღერები საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ვაჟთა ვოკალური კვარტეტის შესრულებით, 19.15 — საზღვარგარეთული მსუბუქი მუსიკა, 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. ნარკვევი: „ქარავანი მთიდან ბრუნდება", 20.20 — კონცერტი „ქართული ხალხური სიმღერა და ლექსი", 21.05 — გადაცემა — „ქართული საბჭოთა დრამატურგია", 22.30 — კონცერტი „შაბათ საღამოს".

მეორე პროგრამით

21.00 — საუბარი საერთაშორისო თემაზე, 21.15 — ლისტი. სიმფონია „დანტე", 22.00 — ლიტერატურული გადაცემა. 22.40 — საცეკვაო მუსიკა.

### თეატრები

21 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის — ჰამლეტი, გრიბოედოვის სახელობის — უცხოური ჩემოდანი, სანკულტურის — კოლეგები (აბონ. № 2), მოზარდ მაყურებელთა ქართული — ვარსკვლავბიჭუნა (აბონ. № 17, 4 ს.), ფილარმონიის საზაფხულო — ახალგაზრდული ჯაზორკესტრი „ციმბირის ექო", თოჯინების ქართული — მზეჭაბუკი (11 ს.), დაიყივლე მამალო (2 ს.).

### ტელევიზია

21 სექტემბერი

18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „ცოცხალი გმირები", 19.20 — სატელევიზიო ჟურნალი „სპორტი", 20.10 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.40 — საესტრადო კონცერტი — „საყვარელი მელოდიები", 21.00 — ახალი ამბები, 21.15 — დოკუმენტური ფილმი „ხალხთა სასამართლო".

### კინო

21 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), ოქტომბერი (საზამთრო), ისანი (საზამთრო), სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), საქართველო (წითელი დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), კიროვის სახელობის პარკი — ოდისევსის მოგზაურობა, თბილისი, საქართველო (მწვანე დარბაზი), ყაზბეგი — დიდი ქართველი კლასიკოსის დავით კლდიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფილმი, ოფიცერთა სახლი, კოლმეურნე — ადამიანები და მხეცები (I-II სერია), ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზამთრო), დიდუბე (საზამთრო), გაზაფხული — ადამიანები და მხეცები (II სერია), ფილარმონიის ბაღი, კომუნარების ბაღი — როკო და მისი ძმები (I-II სერია),


## ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება

სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 23 სექტემბერს, 31 ოქტომბერს, 18 ნოემბერს და 9 დეკემბერს ბათუმის, ზესტაფონის და ცხაკაიას სარაიონთაშორისო საკონსულტაციო პუნქტებში, ხოლო 30 სექტემბერს, 28 ოქტომბერს, 25 ნოემბერს და 16 დეკემბერს ქუთაისის საკონსულტაციო პუნქტში დანიშნულია საკვირაო კონსულტაციები.

კონსულტაციები მოეწყობა ქუთაისსა და ბათუმში პედაგოგიური ინსტიტუტების, ხოლო ზესტაფონსა და ცხაკაიაში მე-2 საშუალო სკოლების შენობებში.

კონსულტაციები მოეწყობა საზაფხულო შეკრების დროს სტუდენტთა მიერ მიღებული ცხრილების მიხედვით. ცხრილის გაცნობა შეიძლება საკონსულტაციო პუნქტების გამგეებთანაც.

კონსულტაციები დაიწყება ქუთაისში დილის 10 საათიდან, ხოლო სარაიონთაშორისო საკონსულტაციო პუნქტებში 11 საათიდან.

აკადემიური დავალიანების ლიკვიდაციისათვის გამოცდები მოეწყობა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში 22 სექტემბერს, 13 ოქტომბერსა და 17 ნოემბერს. სტუდენტები, რომლებსაც 20 ნოემბრამდე დარჩებათ აკადემიური დავალიანება, დატოვებული იქნებიან იმავე კურსზე.

რექტორატი.



კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 8-08-67. პასუხისმგებელი მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-22-69, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-73-21, უცხოეთის — 8-35-01, საილუსტრაციო — 8-20-43, განცხადებებს მიღების — 9-94-42.

უე 00652

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.